გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

# ვერსია

ფასი 50 თეთრი

№26 (1052) 9 – 10 მარტი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ლიტო გელოვანი გვ. 2

## ქალთა სახეები ჰაინრიხ ბიოლის შემოქმედებაში

ის, რაც ხდებოდა წინა კვირაში

# „ეგ ლორები დღესაც წილებში არიან... ზოგს ქელეხის დარბაზები ჰქონდა... ჩამოყალიბებული ლორები არიან!“



არა-ჩვეულებრივი ინტერვიუ გვ. 4-5

„ოქრუაშვილს პარიზში რომ შევხვდი, ჩემთვის ორი რამ იყო მიუღებელი. პარტიის დაფუძნება რომ გადავწყვიტეთ, სანადიროდ წავიდა, რომ დაბრუნდა, სამ დღეში დაიჭირეს და ბევრი კონსულტაცია-ლაპარაკი არ გვქონია. პარტია უმაგისოდ დავაფუძნეთ... დეტალებს ნუ მკითხავთ, ზოგადად კი გეტყვით: მითხრა, რუსებთან ლაპარაკი დავიწყეო, რაც ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელი იყო და მეორე, ფულის წარმომავლობა ვითომ ახსნა, მაგრამ ვერ ახსნა“.

„პირდაპირ სააკაშვილის სიტყვებს გეტყვით“ — რა უთხრეს სააკაშვილმა და რუსმა გენერლებმა, ვინ შეარქვა „პადოშა“ და რა პოლიტიკური გეგმები აქვს გია თორთლაძეს

## ფულთაყვანისმცემლობა კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში

მონოპოლისტური სქემა, რომლითაც კომისია კოლოსალურ შემოსავლებს იღებს — „ახალგაზრდა ადვოკატების“ მონიტორინგის შედეგები გვ. 6

## სატანისტური თემების უკან „პიარშჩიკები“ დგანან?



ნესტან კირთაძე სასულიერო პირებს მოუწოდებს, განმანათლებლის ფუნქცია აიღონ გვ. 3

## რა მოხდება 21 მარტს გვ. 7

„ნაციონალების გადასაყენებელი ხელისუფლება არ მყავს, მთავრობას თვითონ გადავაყენებ“! — რატომ არ უერთდება არასაპარლამენტო ოპოზიცია ნაციონალების აქციას

## აჭარის მაღალმთიან სოფლებს მოსახლეობა ტოვებს

ადგილობრივებს სახლები შუახევიჰესის მშენებლობის გამო ენგრევათ?!

## მავნებელი დიეტები

რა ზიანს აყენებს ორგანიზმს ამა თუ იმ პროდუქტის აკრძალვა

## კაიბიჭის ბოზური „შრამი“



ივა, გოგი და „რუჩნოი ტორმუზი“ — „სხალნიაკი“ ორთაჭალის ციხეში გვ. 8

დიტო გელოვანი

**„უკაცრავად, ქალბატონო, როგორ იცნობთ? რა არის თქვენი დ'არტანიანი?“ „რა უნდა იყოს? — მიუგო შეძრწუნებულმა მილედიმ, — მეგობარია ჩემი“. „თქვენ მე მატყუებთ, ქალბატონო, თქვენ მისი საყვარელი იყავით?“ „მისი საყვარელი თქვენ იყავით“ — შეჰყვირა მილედიმ. „მე?“ „დიახ, თქვენ, ახლა კი გიცანით, თქვენა ხართ ქალბატონი ბონასიე“ — განცვიფრებულმა და შეშინებულმა ახალგაზრდა ქალმა უკან დაიწია. „ოჰ, მაგას ნუ უარყოფთ! რა გაქვთ დასამალი?“ — უთხრა მილედიმ. „მაშ ასე, ქალბატონო, მაშ ჩვენ ერთმანეთის მეტოქეები ვართ“. ისეთი მხეცური ალი მოედო მილედის, რომ...**

***(ალექსანდრე დიუმა, „სამი მუშკეტერი“)***

# ქალთა სახეები ჰაინრიჰ ბიოლის შემოქმედებაში




ეს ნაწყვეტი „სამი მუშკეტერის“ იმ გემრიელი გამოცემიდან ამოვიღე, ყდაზე „სათავგადასავლო ბიბლიოთკა“ რომ აწერია. გადაშლი თუ არა, მაშინვე მოგხვდება თვალში ლამაზად დახატული ციხე-კოშკი და ძველებურ გრაგნილზე დაუდევრად დაყრილი დაშნა, ხანჯალი, ფილთა თოფი, ტომაჰავკი, იქვე გლობუსი, ორი წიგნი და ლამპარი. ხოლო კიდევ რამდენიმე გვერდის შემდეგ ვკითხულობთ: „თარგმანი ფრანგულიდან ივანე მაჭავარიანისა, ილუსტრაციები ი. ს. კუსკოვის“.

ი. ს. კუსკოვი იქით იყოს, ივანე მაჭავარიანს კი დიდ მადლობას მოვახსენებ თარგმანისთვის. რომანი დიდი ხნის წინ არის გადათარგმნილი და ზოგი სიტყვა თუ წინადადება იმ დროის შესაბამისად ჟღერს და კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ „ძველი უმჯობეს არს“.

მართლაც, რომელი თანამედროვე მთარგმნელი დაწერდა ასე — „ისეთი მხეცური ალი მოედო მილედის, რომ...“

სხვაც ბევრია, ბავშვობიდანვე რომ შერჩა მეხსიერებას, მაგრამ ერთი ნიუსის გაცნობის შემდეგ სწორედ ეს სიტყვები ამომიტივტივდა — „ისეთი მხეცური ალი მოედო მილედის, რომ...“

აი, ის ნიუსიც: „ხათუნა გოგორიშვილმა და ეკა ბესელიამ ერთმანეთს „თავხედი“ და „მატყუარა“ უწოდეს საპარლამენტო უმცირესობის და უმრავლესობის დეპუტატებმა, ხათუნა გოგორიშვილმა და ეკა ბესელიამ ერთმანეთს „თავხედი“ და „მატყუარა“ უწოდეს. დეპუტატებს შორის დაპირისპირება მას შემდეგ მოხდა, რაც ეკა ბესელიამ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ საქართველოს პარლამენტი ქუთაისში არ უნდა იყოს, რადგან ეს პარლამენტის ბიუჯეტისთვის დამატებითი ხარჯია. ბესელიას თქმით, ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური თავის განცხადებაში სწორედ ამაზე საუბრობდა, როცა ქამრების შემოჭერის თემას შეეხო. ეკა ბესელიას ამ განცხადებას დეპუტატი ხათუნა გოგორიშვილი ტყუილს უწოდებს. მისი თქმით, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე არასწორ ინფორმაციას ავრცელებს, რადგან ქუთაისში არსებული პარლამენტის შენობა პარლამენტის ბალანსზე არ არის. შესაბამისად, საკანონმდებლო ორგანოს ბიუჯეტიდან აღნიშნულ შენობაზე ერთი თეთრიც არ იხარჯება. სწორედ ამ განცხადების შემდეგ მოხდა დეპუტატებს შორის სიტყვიერი დაპირისპირება, მათ ერთმანეთს შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართეს“.

რა თქმა უნდა, ის ანონიმური წერილიც გამახსენდა, კუკარაჩა რომ კითხულობს: „მოგახსენებთ, რომ ჩვენს ეზოში ცხოვრობს და აღვირახსნილ ცხოვრებას ეწევა (პაპიროსსაც) ინგა ლალიაშვილი. ღამის ორ და ხანდახან ოთხ საათზე მისი ოთახიდან ისმის ჭიქების ჭახაჭუხი, უწმაწური სიტყვები და სიმღერები. მას ინტიმური კავშირი აქვს მრავალგზის ნასამართლებ ვინმე მურტალოსთან (ნამდვილი სახელი და გვარი უცნობია). გვრცხვენია, მაგრამ საქმის საჭიროების გამო ვასახელებთ იმ უწმაწურ სიტყვებსა და სიმღერებს, რომლებიც გვესმის ამ გარყვნილების ბუდიდან. სიტყვები: ბოზი, ჩათლახი, ნაბიჭვარი, ვირიშვილი, ყომარი, დურა, ატანდა, პლეტი, ხოში, ბითური და სხვ. სიმღერები: პარახოდმა ბათუმისკენ გასწია, სვოი ბიჭმა ჩემოდანი ასწია... შე ვირიშვილო სუდია, რა დაგიშავე ცუდია. ჰოპ, სტოპ, ზოია... გთხოვთ, ჩვენ თუ არა, ჩვენი მომავალი (ბავშვები) მაინც იხსენით გახრწნისა და გათახსირებისაგან“.

ისევ დავუბრუნდები იმ ნიუსს და ჩემი ბავშვობის წიგნების გავლენით, შევეცდები, ახლიდან დავწერო:

„გასულ კვირაში საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში, პარლამენტში, ისმოდა უწმაწური სიტყვები: ბოზი, ჩათლახი, ნაბიჭვარი, ვირიშვილი, ნაციონალები... ისეთი მხეცური ალი მოედო ხათუნა გოგორიშვილს, რომ... „თქვენ მე მატყუებთ, ქალბატონო, თქვენ მისი საყვარელი იყავით?“ „მისი საყვარელი თქვენ იყავით“ — შეჰყვირა ხათუნა გოგორიშვილმა. „მე?“ „დიახ, თქვენ, ახლა კი გიცანით, თქვენა ხართ ქალბატონი ბესელია“ — განცვიფრებულმა და შეშინებულმა ახალგაზრდა ქალმა უკან დაიწია“.

არც ორგანოა საკანონმდებლო და არც უკან დაწეული ქალი — ახალგაზრდა, რომელსაც, საერთოდ, ასეთ შემთხვევებში უკანდახევა არ სჩვევია, სანამ ზემდგომი არ უბრძანებს, მაგრამ სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში უკან არც უნდა დაეხია, რადგან ქამრების შემოჭერის პოლიტიკის საწინააღმდეგო გოგორიშვილისეული სულელური არგუმენტი — „ქუთაისში არსებული პარლამენტის შენობა პარლამენტის ბალანსზე არ არის. შესაბამისად, საკანონმდებლო ორგანოს ბიუჯეტიდან აღნიშნულ შენობაზე ერთი თეთრიც არ იხარჯება“ — მთლიანად ნაციონალური მოძრაობის საილუსტრაციოდ გამოდგება, მაგრამ ჯერ კიდევ საიდუმლოდ რჩება, თუ რომელმა რომელს უწოდა „თავხედი“ და რომელმა რომელს — „მატყუარა“.

ნათქვამია, როცა ორი ადამიანი ჩხუბობს, ორივე დამნაშავეაო, მაგრამ ისიც ხშირად ხდება, რომ ორივე მათგანი, ერთდროულად, დამნაშავეც შეიძლება იყოს და მართალიც. მოცემულ შემთხვევაში კი, ორივე დამნაშავეა ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე, თუმცა ერთმანეთს სრულიად სამართლიანად უწოდეს „თავხედი და მატყუარა“ და საპასუხო „თავხედისა და მატყუარასგან მესმის“ — ესეც სრული ჭეშმარიტება იყო.

ასევე — ჯაბა სამუშიას და ალექსანდრე ელისაშვილის ჩხუბი და ურთიერთბრალდებები. არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ვისთან იყავი ჩახუტებული, გიორგი თარგამაძესთან თუ ზვიად ქორიძესთან, რადგან მაჭანკალი ორივე შემთხვევაში გურგენ დონაძეა.

ბატონებო და ქალბატონებო, თქვენს ამომრჩეველს ეკა ყურცქვიტაშვილის ნააზრევის მოსმენა უფრო აინტერესებს და გია სურამელაშვილის მოსმენით ტკბება. ასე იწრთობოდა ფოლადი და გამოიწრთო კიდეც. ორ პარლამენტარი ქალბატონსა და ორი საკრებულოელ ვაჟბატონს შორის გამართული ბატალიების შემდეგ, ლოგიკური იქნება, თუ საკრებულოსთან და ქალებთან დაკავშირებულ ინფორმაციას გაგაცნობთ:

„8 მარტამდე ქუჩებისთვის ქართველი ქალების სახელების დარქმევა აღარ ესწრება 8 მარტამდე თბილისში ხუთი ქუჩისთვის გამოჩენილი ქართველი ქალების სახელების დარქმევა აღარ ესწრება. აღნიშნულთან დაკავშირებით, თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია სპეციალურ განცხადებას ავრცელებს. განცხადების თანახმად, 2014 წლის მიწურულს თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და „ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის“ სამხრეთ კავკასიის ბიუროს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომლის თანახმადაც 2015 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე 50 ქუჩისათვის გამოჩენილი ქართველი ქალების სახელების დარქმევა უნდა განახორციელოს, „რათა ქალაქის ქუჩების ნაწილშიც მოხერხდეს გენდერული ბალანსის დაცვა“. განცხადების მიხედვით, აღნიშნული მემორანდუმის საფუძველზე გაიწერა კონკრეტული ღონისძიებების გრაფიკი. მემორანდუმის მიხედვით, 8 მარტამდე კამპანიის ფარგლებში პირველი 5 ქუჩის სახელდება უნდა მომხდარიყო და სახელდებულ ქუჩებზე შესაბამისი სამისამართო აბრების განთავსება. „კომისია ამზადებს სახელდების სამართლებრივი აქტის პროექტებს, პარალელურად, მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა სახელდების ახალ წესზე. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია სრულიად საკრებულოს მსგავსად ერთსულოვანია ყველა იმ აღებული ვალდებულებისა, რაც დადებულია „ჰაინრიჰ ბიოლის ფონდთან“, ვიმედოვნებთ, უახლოეს პერიოდში აღმოიფხვრება ჩვენგან დამოუკიდებელი ყველა ის სამართლებრივი შეზღუდვა რაც ამ ეტაპზე გვაქვს. კომისია უახლოეს პერიოდში გადავა ქუჩათა სახელდების ეტაპზე და გაორმაგებული ძალისხმევით უზრუნველყოფთ მოკრძალებული წვლილის შეტანას იმ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეში, რასაც გენდერულად სენსიტიური რეალობის შეცვლა ქვია“, — ნათქვამია განცხადებაში“.

ძალიანაც მინდოდა, ეს ნიუსი შემემოკლებინა და დამცინავი კომენტარები დამერთო, მაგრამ შემდეგ მივხვდი, დაცინვას საკრებულო კი არ იმსახურებს, არამედ ქალაქი, რომელსაც ასეთი საკრებულო აქვს, რადგან „სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია სრულიად საკრებულოს მსგავსად ერთსულოვანია ყველა იმ აღებული ვალდებულებისა, რაც დადებულია „ჰაინრიჰ ბიოლის ფონდთან“.

ალბათ, საკრებულოში 50 ისეთი ქართველი ქალი ვერ გაიხსენეს, რომელთა ცხოვრება და დამსახურებები ჰაინრიჰ ბიოლის ფონდში მოწონებას დაიმსახურებდა. ალბათ, ელიან, როდის ჩაბარდებიან ისტორიას ბესელიები და გოგორიშვილები, იუნაშაფათავები და ეკაყურცქვიტაშვილები, ნანაყეენიშვილები და ირმანადირაშვილები.

მარიკა ვერულაშვილის ქ. 41/5 — ამ მისამართზე ეროვნული თანხმობის მუზეუმი განთავსდება.

და რა, თბილისის ქუჩების სახელწოდებები მხოლოდ გენდერულ ბალანსს უნდა ასახავდეს? რატომ არ უნდა გვქონდეს გია ჯაჯანიძისა და გია სურამელაშვილის ქუჩები, რომელთა გადაკვეთაზეც, მიწისქვეშა გადასასვლელში იმღერებდა, საკუთარ ლექსებს წაიკითხავდა და საკუთარ ნამუშევრებს გამოფენდა ყველა ჯურის უნიჭო და ამბიციური ვიგინდარა, სადაც ახალ-ახალი წევრებით შეივსებოდა პოლიტიკური გაერთიანება „რეფორმატორები“, სადაც თავის მემილიონე მშრალ შიმშილობას გამოაცხადებდა ყველასგან მივიწყებული გიორგი კერვალიშვილი, საიუბილეოდ, მეათასედ დააკავებდნენ ინტელექტისგან თავისუფალი თაობის ბელადს, ლადო სადღობელაშვილს და სადაც კვირაში ერთხელ საავტორო გადაცემას — „ვის უნდა 20 ათასი მედროვე“ — ჩაწერდა დუტა სხირტლაძე.

ეს იქნებოდა ქვეყანა ქვეყანაში, სახელად „თავისუფალი საქართველო“, პრეზიდენტი — კახა კუკავა, პრემიერ-მინისტრი — ალექსანდრე შალამბერიძე, პარლამენტის თავმჯდომარე — ბეჟან გუნავა, შს მინისტრი — გიორგი ბეგიაშვილი, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი — გია თორთლაძე, კულტურის მინისტრი — ივანე ბეგიაშვილი...

ეს იქნებოდა ქვეყანა, რომელსაც ვერავინ ვერაფერს აუკრძალავდა, მათ შორის ხმაურს, რომელიც გასულ კვირაში, ალბათ, ჰაინრიხ ბიოლის ფონდთან შეთანხმებით, აკრძალა თბილისის საკრებულომ — დაისჯება ნებისმიერი ხმაური რომელიც 21 საათიდან დილის 7 საათამდე ორ დეციბილს გადაამეტებს.

არ მესმის, როგორ უნდა დაისაჯოს ხმაური, როგორც ცანს მექანიკური შეცდომაა და ალბათ ხმაურის გამომწვევს დასჯიან. მექანიკური შეცდომა ყველას ეპატიება, რაც შეეხება სიბრიყვეს, ესეც ბევრს ეპატიება, მაგრამ არა მილიონნახევრიანი ქალაქის საკრებულოს.

სოციალურ ქსელში ამოვიკითხე, რომ ყველაზე საშინელ ხმაურად აღებულია რეაქტიული ავიაგამანადგურებლის ძრავის ხმა — 150 დეციბელი. 20 დეციბელი ყოფილა ჩურჩული და ფოთლების შრიალი ქარში, 10 დეციბელი — სუნთქვა... მოკლედ, არ ისუნთქოთ, არ იჩურჩულოთ და ხმა არ ამოიღოთ. არადა, ვისაც მთელი ის 9 კოშმარული წელი ჩურჩულის ეშინოდა, ყველამ ხმა ამოიღო, ვინც ადამიანებს ხმის ამოღებას უკრძალავდა, ყველა წაახალისეს, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც მაშინ ხმას კი იღებდნენ, მაგრამ დღეს აღარც კი ჩურჩულებენ, დრო არ აქვთ -ძალაუფლებით ტკბებიან, ტკბებიან სიცოცხლით და ახლავე იჭერენ თადარიგს, რომ სიკვდილითაც დატკბნენ.

„თბილისში შესაძლოა, ახალი პანთეონი გაიხსნას თბილისში შესაძლოა, საზოგადო მოღვაწეთა ახალი პანთეონი გაიხსნას. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ლიტერატორმა თამაზ ტყემალაძემ განუცხადა, პანთეონის ადგილად რამდენიმე ვარიანტი განიხილება. მისი ინფორმაციით, ახალი პანთეონი შესაძლოა მთაწმინდის პანთეონისგან მოშორებით, სხვა მხარეს გაიხსნას. ასევე, განიხილება ნუცუბიძის პლატოს ზემო ნაწილი, ახალი გზის მიმდებარე ტერიტორია. კიდევ ერთი შესაძლო ვარიანტი სამების ტაძრის უკანა მხარე, ე.წ. სომხების პანთეონის სიახლოვეს არსებული ტერიტორიაა. თამაზ ტყემალაძის ცნობით, შესაძლოა, ახალ პანთეონში ქართველი პოეტი მირზა გელოვანი დაკრძალონ, რომლის ბელორუსიდან გადმოსვენება მიმდინარე წლის მაისისთვის იგეგმება. „ინტერპრესნიუსი“ საკითხთან დაკავშირებით დედაქალაქის მერიას დაუკავშირდა, სადაც განაცხადეს, რომ ახალი პანთეონის გახსნის საკითხი იდეის დონეზეა და კონკრეტულ ადგილებზე საუბარი ნაადრევია“, — იუწყებოდა მკაცრი, მაგრამ სამართლიანი სააგენტო.

არის ასეთი გამოთქმა — „ადგილი მზის ქვეშ“. ამ ადგილებისთვის ბრძოლას გადააყოლეს ეს ქვეყანა, ახლა კი პანთეონში ადგილებისთვის დახოცავენ ერთმანეთს. დაანონსებულია, რომ პოლიტიკაში ბრუნდებიან გია თორთლაძე, კახა კუკავა, დავით გამყრელიძე... მათ მოყვებიან მაია ნადირაძე, კობა ბექაური, ბიძინა ბრეგაძე... სურვილი კლავთ ირაკლი ღლონტს, ლადო სადღობელაშვილს, გირშელ ბართაიას... ეს უკანასკნელები დარწმუნებულები არიან, რომ ჩვენ მათ პენსიით და შემდეგ პანთეონით უზრუნველვყოფთ.

მირზა გელოვანს სადღაც, კუთხეში მიუჩენენ ადგილს და მწარედ ანანებენ იმ სიტყვებს, ფრონტის წინა ხაზიდან რომ მოიწერა — „მე დავბრუნდები“.

**ჩ.ძ.წ. (ჩაკონება ძალადობის წინააღმდეგ)** ერთ წუთს ასე ჩაკრულები იყვნენ ქალები და, ვგონებ საჭირო არ არის განმარტება, იმდენი ძალა რომ ჰქონოდა მილედის, რამდენიც სიძულვილი ედო გულში, ცოცხალი ვერ გადარჩებოდა ქალბატონი ბონასიე ამ ჩაკონებას.

***(ალექსანდრე დიუმა, „სამი მუშკეტერი“)***

ნინო კომახიძე
599-95-33-16

# სატანისტური თემების უკან „პიარშჩიკები“ დგანან?

## ნესტან კირთაძე სასულიერო პირებს მოუწოდებს, განმანათლებლის ფუნქცია აიღონ



**ეკონომიკური თუ სავალუტო კრიზისისა და ნაციონალების მიერ დაანონსებული რევოლუციის ფონზე, ხალხს ახალი საფიქრალი გაუჩნდა — საქართველოში სატანისტური დაჯგუფებები მომრავლდნენ. ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთმა პოლიტიკურმა პარტიამ დუშეთში მომხდარი ორი მკვლელობა თუ თვითმკვლელობა სწორედ ასე შეფუთა და განაცხადა, რომ სექტანტურ ჯგუფში 60 ბავშვია, რომლებიც სასაფლაოზე მხოლოდ კატების დაკვლით აღარ კმაყოფილდებიან. თემა მაშინვე გასკანდალდა და რამდენიმე დღეა, ყველა ამაზე ლაპარაკობს. არადა, ვინმეს არც განმარტება გაუკეთებია და არც ე.წ. სატანისტების სტატისტიკა გამოუქვეყნებია. ყველაფერი ეს სატანისტურ სექტებსამოფარებული პოლიტიკოსების პიარტექნოლოგია ხომ არაა, რომელიც მასების მართვასა და პანიკის დათესვას ემსახურება, ვის აწყობს ამ თემის გაშლა — მთავრობას თუ რევანშისტ ნაციონალებს და რატომ დუმს საპატრიარქო — „ვერსიას“ ისტორიკოსი, პატრიარქთან დაახლოებული ნესტან კირთაძე ესაუბრა.**

**— ქალბატონო ნესტან, როცა ქვეყანაში ამდენი პრობლემაა, სატანიზმი ნომერპირველი სალაპარაკო თემა რატომ ხდება?**

— ამ განცხადებებს ყურადღება მეც მივაქციე — რამდენიმე სერიოზული ჟურნალისტი ავრცელებდა და შინაგანად, ამ ტიპის ინფორმაციის გამავრცელებლების მიმართ მაშინვე პროტესტი გამიჩნდა, რადგან ეს პოლიტიკური ტექნოლოგიის ნაწილი მგონია. ჩვენდა საუბედუროდ, რეგიონებში ახალგაზრდები მართლაც, იხოცებიან — დღე არ გავა, არ გავიგოთ, რომ ვიღაცამ თავი ჩამოიხრჩო, ვიღაც მატარებელს ჩაუვარდა, მაგრამ ეს უფრო სოციალური პრობლემების გამოძახილია, ვიდრე სატანისტური ორგანიზაციების სარიტუალო მკვლელობა. როცა ქვეყანაში ისედაც ასეთი მძიმე ვითარებაა, არცერთმა პოლიტტექნოლოგმა მთავრობას ამ ტიპის თემებით რეალური პრობლემების გადაფარვა და პიარის აგორება არ უნდა შესთავაზოს. ამბობენ, სადღაც სატანისტური სექტაა, სატანისტური ორგანიზაციები ბობოქრობენ და ახალგაზრდებს მასობრივი მკვლელობისკენ მოუწოდებენო, მაგრამ ყველაფერი იმისთვის კეთდება, შიშის ფაქტორი უფრო გაიზარდოს. ეს ჩვეულებრივი პოლიტიკური ტექნოლოგიაა, რათა გადაიფაროს მთავარი პრობლემები — უმუშევრობა, უფულობა, უპურობა, სასოწარკვეთილება.

**— პრობლემები უარესი სასოწარკვეთით უნდა გადაიფაროს?**

— რა თქმა უნდა, სწორედ ასეა. ახლა, სოციალურის გარდა, ხალხზე დამატებითი ფსიქოლოგიური ზეგავლენაც საჭიროა!

**— გასაგებია, მაგრამ რატომ მაინცდამაინც ეს თემა? — იმიტომ ხომ არა, რომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ქრისტიანია და სატანიზმზე მწირი ინფორმაცია აქვს?**

— გავიდეთ რაიონებში და ერთად ვნახოთ, რომ ახალგაზრდობის უდიდესი ნაწილი განადგურებულია, ოღონდ ამ ტიპის სექტებში გაერთიანებით კი არა, ალკოჰოლითა და ნარკოტიკით! ეს ინტერნეტის, ინფორმაციაზე შეუზღუდავად წვდომის საუკუნეა. ახალგაზრდებისთვის კი ყველაფერი უჩვეულო და ახალი, ეს სექტებიც, თავყრილობები, რიტუალები, თანამოაზრეთა ჯგუფის შექმნა, განსხვავებული ჩაცმა, ქცევა და ა.შ. მიმზიდველია, თუმცა ქვეყანაში, სადაც სავალუტო კრიზისი, პოლიტიკური დესტაბილიზაცია და სხვა რეალური საფრთხეებია, ეს მთავარ თემად ვერ იქცევა. მაპატიონ ამ დახოცილი ბავშვების მშობლებმა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს ტრაგედია რიტუალურ მსხვერპლშეწირვას კი არა, ნარკოტიკებსა და ალკოჰოლს უნდა მივაწეროთ! ვიღაცები ცდილობენ, მეტი სენსაცია მიაწოდონ მოსახლეობას და მასობრივი ფსიქოზი ან პანიკა გამოიწვიონ. გავაანალიზოთ, ეს ვის აწყობს და ხელს ვის აძლევს?!

**— შეიძლება, ხელისუფლებასაც აწყობდეს, რომელსაც მართვის სადავეები ხელიდან გაექცა და ნაციონალურ მოძრაობასაც, რომელიც ამ პანიკით თუნდაც 21 მარტის აქციის წინ ისარგებლებს, არა?**

— საქმე ისაა, რომ ამ თემის მანიპულირებით ვერავინ იხეირებს — მოგებული ერთი მხარეც არ დარჩება. ამდენი ახალგაზრდა უფუნქციობით, უპერსპექტივობით, უსწავლელობით, უმუშევრობით, ნარკოტიკით, ალკოჰოლით იღუპება და ვიღაცის ავადმყოფ თავში ჩნდება იდეა, სუიციდისკენ ასაკობრივი და სოციალური მდგომარეობით გამოწვეული მიდრეკილება პირდაპირ სატანისტურ სექტებს დაუკავშიროს! ამ ორი მკვლელობის ამ თემასთან დაკავშირებაც ვიღაცამ მოსახლეობაზე ეფექტის მოსახდენად და მასობრივი შიშის დასანერგად გამოიყენა! ამ ტექნოლოგიების მსხვერპლი ჩვენც არ უნდა გავხდეთ და ასეთ „პიარიშჩიკებს“ მათ ტვინში მომწიფებული ამ ბოროტების გავრცობით სიამოვნება არ მივანიჭოთ.

**— ამ თემით, კონკრეტულად, ვინ და რის გადაფარვას ცდილობს?**

— მინდა, პირდაპირ კონკრეტულ ადრესატებს მოვუწოდო — ეკლესიის, განათლებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები გამოვიდნენ და არათუ ასეთი ფაქტების გამოძიებას ბოლომდე მიყვნენ, არამედ, გვაჩვენონ კვლევები და ტენდენცია, რა კეთდება ახალგაზრდების განვითარების მიზნით, ჩაგვაბარონ ანგარიში! ფაქტია, ვიღაცის ტვინში, მასობრივი ფსიქოზის დასათესად, ეს ახალი საშუალება მომწიფდა და ამის მიხვედრას წინასწარმეტყველება და ნათელმხილველობა არ სჭირდება, ამას გამოცდილება და მოვლენათა განვითარების ლოგიკა აჩვენებს. ყველა გრძნობს, საქართველო კატასტროფისკენ მიექანება. მახსოვს, 90-იან წლებში, მშრალ ხიდზე მსოფლიო მასშტაბის მეცნიერი, აკადემიკოსი ევგენი ხარაძე დავინახე, რომელიც სახლიდან გამოტანილ ჭურჭელს ყიდდა. დღეს მთელი საქართველო ყველა ხიდზე, ტრასასა და გამზირზეა გამოსული და მხოლოდ ჭურჭელს კი არა, რაც აბადია, ყველაფერს ჰყიდის.

**— ეკლესია და ხელისუფლება ამ თემაზე რატომ არ ლაპარაკობს, მათი პოზიცია როგორი უნდა იყოს?**

**— თუ ეს მოვლენები უფრო მასშტაბური გახდება, დარწმუნებული ვარ, საპატრიარქო აუცილებლად ჩაერევა, თუმცა საპატრიარქოს, როგორც ინსტიტუციის ზოგადი პოზიცია კი არა, ქართული ეკლესიისა და თითოეული მისი მოძღვრის აზრი მაინტერესებს. მძიმე მარხვის ამ რთულ დღეებში, მოძღვრებმა თავიანთ თავზე ნამდვილი განმანათლებლის ფუნქცია უნდა აიღონ, რადგან, როგორც ჩანს, საქმეს მხოლოდ რელიგიური რიტუალების ჩატარება არ შველის. ეს უარყოფითი ენერგია კარგა ხანია, გროვდება და ალბათ, სადღაც გამოვლინდება.**

**— შესაძლოა, 21 მარტს, რუსთაველზე, ნაციონალების აქციაზე გამოვლინდეს? რატომაა გამორიცხული, ხალხში დათესილი მასობრივი ფსიქოზით ყოფილმა ხელისუფლებამ ისარგებლოს?**

— ფაქტია, ამ ხელისუფლებისთვის ვითარება ყოველდღე მძიმდება და ამას როგორც რომელიმე პარტიის ლიდერი კი არა, როგორც თავისუფალი მოქალაქე, ისე ვამბობ. ყველაზე საოცარი ისაა, რომ ამ ვითარებაში ნაციონალური მოძრაობა, მართლაც, დისციპლინირებული პარტია აღმოჩნდა, რომელმაც სწორი პოლიტაქცენტები გააკეთა — არ დაიშალა, მომზადებული და ყველაზე კვალიფიციურია, როგორც ხელისუფლების ოპოზიცია. მეტიც, მან თამასა ძალიან ასწია და 21 მარტს მთავრობის გადადგომის მოთხოვნით გამოდის. ბიძინა ივანიშვილმა და ღარიბაშვილმა არ იციან, რომ მინისტრთა კაბინეტი უნდა გადადგეს? ვფიქრობ, ყველასგან დამოუკიდებლად, ანტიკირიზისული საბჭო უნდა შეიქმნას, რომელშიც პასუხისმგებლობის მქონე პოლიტიკოსები და ცნობილი სახეები შევლენ.

**ქვეყანაში არსებულ მძიმე ყოფას მხოლოდ კატების დაკვლის რიტუალებითა და მასობრივი ფსიქოზით ვერ გადაფარავენ, ხალხს შეცდომაში ვერ შეიყვანენ. სოციალური ბუნტი იქნება! არ ვიცი, რამდენი ადამიანი გამოვა 21 მარტს რუსთაველზე, მაგრამ არ მგონია, ვინმეს გამოსაყვანად 10-ლარიანი დაპირება გახდეს საჭირო. აწი, ვინც უნდა დადგეს რუსთაველზე და რომელმა პარტიამაც უნდა მოუწოდოს, მოსახლეობა ემოციურად, ფსიქოლოგიურად და აგრესიულად უკვე მზადაა, მთავრობა შეცვალოს. ამიტომ არც იმას გამოვრიცხავ, სტიქიური მოძრაობები თავად ხალხში დაიწყოს და ეს უკვე სოციალური კატასტროფა იქნება.**

**— ქალბატონო ნესტან, ასეთ მკვეთრ განცხადებებს რატომ აკეთებთ, რამე ინფორმაცია ხომ არ გაქვთ?**

— ერთ რამეს მიაქციეთ ყურადღება: მსოფლიო სავალუტო ფონდმა ასეთი განცხადებები 2002 წელსაც გააკეთა — ხელისუფლებას საჯარო შენიშვნები მისცა, ყვითელი ბარათი უჩვენა და ყველაფერი ეს 2003 წელს, რევოლუციით დასრულდა. შესაძლოა, 2015 წელსაც იგივე მოხდეს. სავალუტო ფონდმა პირდაპირ გვითხრა, ფულს არ გასესხებთ, რადგან სწორი გზით არ მიდიხართ, ნუ ლანძღავთ ეროვნულ ბანკს, შეასრულეთ ჩვენი მითითებებიო და ა.შ. ქვეყანაში ხელისუფლება უკვე რევოლუციური სცენარით შეიცვლება. მივმართავ პრეზიდენტს, როგორც ქვეყნის პირველ პირსა და საქართველოში სტაბილურობის გარანტს — შეკრიბოს ანტიკრიზისული საბჭო და ანტიკრიზისული მთავრობა შექმნას, თორემ მალე სოციალური აფეთქება და რევოლუციური კატაკლიზმები მოხდება!

## ვერსიანიუსი

### აშშ-ში ქართველი კურსანტები დაიღუპნენ





საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აშშ-ში გარდაცვლილი ქართველი სამხედრო კურსანტების შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, რიგითი სოსო მაკარიძე ნიუ-ჯერსიში აშშ-ს საზღვაო თავდაცვის აკადემიის IV დამამთავრებელი კურსის მსმენელი იყო. ის აკადემიაში 2011 წლიდან სწავლობდა. II კურსის მსმენელი, რიგითი ბესარიონ გორჯოლაძე საზღვაო თავდაცვის აკადემიაში 2013 წლიდან ირიცხებოდა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო თავდაცვის აკადემიის ორი ქართველი მსმენელის დაღუპვის გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილების ოჯახებს.

**„რიგითი სოსო ალექსანდრეს ძე მაკარიძე და რიგითი ბესარიონ კახას ძე გორჯოლაძე ნიუ-ჯერსის შტატში მომხდარი ავტოავარიის შედეგად დაიღუპნენ. ორივე ახალგაზრდა დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში მსმენელად ირიცხებოდა და აშშ-ს საზღვაო თავდაცვის აკადემიაში სწავლობდა“,** — აცხადებენ სამინისტროში.

ავტომანქანას, რომელშიც ქართველი კურსანტები ისხდნენ, არსებული ინფორმაციით, აშშ-ს მოქალაქე მართავდა. იგი ამჟამად ჰოსპიტალშია მოთავსებული.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი აშშ-ში ქართველი კურსანტების დაღუპვის გამო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს.

**„უკიდურესად შემძრა ნიუ-ჯერსიში ორი ქართველი სამხედრო კურსანტის, სოსო მაკარიძისა და ბესარიონ გორჯოლაძის დაღუპვის ამბავმა. ისინი ამერიკის შეერთებულ შტატებში გადიოდნენ სამხედრო სასწავლო კურსს, რათა იქ მიღებული ცოდნა საკუთარი სამშობლოსთვის მოეხმარათ. აუნაზღაურებელია ეს დანაკარგი და უდიდესი ტკივილია ყველა ჩვენგანისთვის. ვიზიარებ გარდაცვლილების ოჯახების მწუხარებას, თანავუგრძნობ საქართველოს შეიარაღებულ ძალებს და მთელ საქართველოს“,** — აცხადებს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი.

ბესარიონ გორჯოლაძისა და სოსო მაკარიძის გარდაცვალების გამო მწუხარება, ასევე გამოთქვა აშშ-ს საელჩომ.

**„კადეტები, გორჯოლაძე და მაკარიძე, კონექტიკუტის შტატში, აშშ-ს სანაპირო დაცვის აკადემიაში სწავლობდნენ. ისინი სამშობლოს უსაფრთხოების დამცველი პატრიოტები იყვნენ, რომლებიც საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა შეერთებულ შტატებში განათლების მისაღებად მიავლინა. შეერთებული შტატების საელჩო უსამძიმრებს კადეტების, გორჯოლაძისა და მაკარიძის ოჯახებს, მეგობრებსა და სამხედრო კოლეგებს ამ მძიმე წუთებში“,** — ნათქვამია საელჩოს განცხადებაში.

*„ვერსიანიუსი“*

### პატრულმა ქალბატონებს 8 მარტი მიულოცა



საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ქალბატონებს 8 მარტი მიულოცეს და ყვავილების თაიგულები მიართვეს. ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი აქცია მთელი ქვეყნის მასშტაბით გაიმართა.

*„ვერსიანიუსი“*

# „ეგ ლორები დღესაც წილებში არიან... ზოგს ქელეხის დარბაზები ჰქონდა... ჩამოყალიბებული ლორები არიან!“



## „პირდაპირ სააკაშვილის სიტყვებს გეტყვით“ — რა უთხრეს სააკაშვილმა და რუსმა გენერლებმა, ვინ შეარქვა „პადოშა“ და რა პოლიტიკური გეგმები აქვს გია თორთლაძეს

ვანო პავლიაშვილი

**...ხმა გავარდა, პოლიტიკაში ბრუნდებაო... დავურეკე... შეხვედრა მეორე დღისთვის დამითქვა... ბევრ რამეზე ვილაპარაკეთ... მოკლედ, ამ არა-ჩვეულებრივი ინტერვიუდან არაერთ საინტერესო ამბავს გაიგებთ, მათ შორის, იმასაც, „პადოშა“ ვინ და რატომ შეარქვა. „ბრტყელი და გამხდარი რომ ვიყავი, მეცხრე კლასში, ბავშვობის მეგობარმა, ბესო შუბლაძემ „პადოშა“ დამარქვა, საწყალი, ცოცხალი აღარაა... „პადოშას“ უახლოესი მეგობრები მეძახიან და ეს დამამცირებელი არაა. მთელი საქართველო „გრეჩიხას“ ეძახის და ამაში დამამცირებელი რა არის?.. თბილისში მეტსახელები ჩვეულებრივი მოვლენა იყო, ზოგს გვარს უმოკლებდნენ... ეს არ მაღიზიანებს“, — მითხრა საუბრის დასასრულს ყოფილმა დეპუტატმა, ყოფილი ანტიკრიზისული საბჭოს ყოფილმა ხელმძღვანელმა, დაკონსერვებული დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ, მთამსვლელმა გია თორთლაძემ, რომელიც თავის დროზე ე.წ. გაერთიანებულმა ოპოზიციამ მოღალატედ შერაცხა...**

**— ბატონო გია, ორი წელია, საზოგადოებამ თქვენზე არაფერი იცის. როგორ ხართ, რას აკეთებთ?**

— ახლახან დავბრუნდი — ტიანშანზე ზამთრის კლოდვანი ასვლა მქონდა. საერთოდ, ზამთარში კლდოვანი ასვლა ძალიან რთულია. შარშან, ამ დროს, ჰიმალაიზე ვიყავი - ორი 6-ათასიანი მწვერვალი „გავაკეთე“. მოკლედ, ალპინისტური თვალსაზრისით, არასოდეს გავჩერებულვარ, სხვათა შორის, არც მაშინ, როცა დეპუტატი ვიყავი. მაგალითად, 2012 წლის მაისში, 52 წლის ასაკში, ევერესტზე მესამედ ავედი, საქართველოს დროშა ავიტანე და ვთქვი, საქართველო ოკუპანტების გარეშე-მეთქი, თუმცა გაზეთში ერთი აბზაცი არ დაწერილა. ტელევიზიამაც არ გააშუქა — „პირველმა არხმა“, საინფორმაციო გამოშვებაში, 52-ე წუთზე ერთი წინადადება თქვა...

**— ესე იგი, ყოფილი პრემიერისა არ იყოს, ჟურნალისტებზე თქვენც ნაწყენი ხართ...**

— არა, ნაწყენი რატომ უნდა ვიყო?! ნაწყენი კი არ ვარ, არამედ, ეს საერთო განწყობის მაჩვენებელია — ქუჩაში გამოკითხვა რომ ჩაატაროთ, ასიდან, შეიძლება, ხუთმა გითხრათ, ვინ იყო ევგენი ხარაძე, გიორგი ჩუბინაშვილი თუ კორნელი კეკელიძე. არაფერს ვერჩი, მაგრამ ბიჭოლა ყველამ იცის.

**— ჰომოფობი ხართ, ბატონო გია?**

— არაფერი ფობია არ მჭირს, უბრალოდ, ცხოვრების სხვა წესით ვცხოვრობ — მაგათ საქმეებში ჩარევა არ მინდა. ყველას თავისი ადგილი, გზა აქვს და ვისაც როგორ უნდა, ისე ცხოვრობს. თუ გინდათ, სხვა ავიღოთ, ვისაც ამ ქვეყანაში განსაკუთრებული და ღირებული არაფერი შეუქმნია. ერთი წელიც არ გასულა, რაც გენიალური მხატვარი ედმუნდ კალანდაძე გარდაიცვალა, მაგრამ მის შესახებ არავინ არაფერი იცის — არც გადაცემა მოუმზადებიათ, არც სტატია დაუწერიათ...

**— ყველაფერ ამას იმიტომ ხომ არ განიცდით, რომ მედიამ თქვენც დაგივიწყათ?**

— არა. მედიამ იმიტომ დამივიწყა, რომ ეს ჩემი სურვილი იყო... 2012 წლის არჩევნები რომ ახლოვდებოდა, ვთქვი, ჩემი პარტია ტაიმ-აუტს აიღებს, რადგან არც ფინანსური რესურსი მაქვს და არც — სხვა-მეთქი...

**— კოალიციაში შესვლა არავის შემოუთავაზებია?**

— შემოთავაზება ვერ მექნებოდა, რადგან კოალიციაში შესულ პარტიებთან იმ დროიდან, როცა პარლამენტში შევედი, ეგენი კი გარეთ დარჩნენ, კარგი ურთიერთობა აღარ მქონდა, თუმცა მერე, ეგენიც სიამოვნებით შეცვივდნენ, ზოგი — პარლამენტში, ზოგი — საკრებულოში.

**— პარლამენტში 2012 წლის არჩევნებით შევიდნენ.**

— 2010 წელს, საკრებულოში ხომ შეცვივდნენ?

**— კი ბატონო, მაგრამ 2008 წელს ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციიდან პარლამენტში სულ ორი-სამი შეხვედით.**

— ორი-სამი რატომ? — მე, ცაგარეიშვილი, ჯონდი, კოკო, თარგამაძე და დიმიტრი ლორთქიფანიძე.

**— ჰოდა, ყველას მოღალატეები გიწოდეს, გახსოვთ?**

— მოღალატე ვინ არის, ეს ხალხმა განსაზღვროს. ჩემი ქვეყნისთვის, კარგის მეტი, არაფერი გამიკეთებია — 37 წელია, მთაში ჩემი ქვეყნის დროშით დავდივარ. ეგენი კი რუსეთში გაიქცნენ. მოღალატე ვინ არის — ვინც რუსეთში გაიქცა, პუტინს ხვდებოდა, თუ ის...

**— ბურჯანაძეზე მიანიშნებთ?**

— ბურჯანაძე კი არა, კუკავაც ნამყოფია, ზვიად ძიძიგური და კობა დავითაშვილიც. ვინც დაგვბომბა, იმასთან დაძვრებოდნენ ეგენი, ფულები ჩამოჰქონდათ და მე როგორ ვიყავი მოღალატე, მაინტერესებს?!

**— არა...**

— (სიტყვას მაწყვეტინებს) არა კი არა, ეგრეა. ჩემს მოსაზრებას გეუბნებით...

**— კი ბატონო, მაგრამ კითხვებს დაგისვამთ, ოკ?.. ქვეყნის კი არა, ოპოზიციის ღალატში გამხელდნენ...**

— ოპოზიციას კი არ ვუღალატე, ოპოზიციამ უღალატა მთავარ პრინციპს. მთავარი პრინციპი კი, რაც იყო, გეტყვით: ჯერ ერთი, ოპოზიციაში შეთანხმება, რომ პარლამენტში შევდივართ ან არა, არ ყოფილა; მეორეც, კარგად ვიცოდით, რომ რაღაც ხმებს წაგვართმევდნენ და გაგვიყალბებდნენ; მესამე და მთავარი: გაერთიანებულ ოპოზიციაში 11 ხმა არსებობდა — პარტიებისა და კიდევ რამდენიმე. აქედან ერთი ხმა ჩემი იყო... ერთხელაც, შევიკრიბეთ და სალომე ზურაბიშვილმა თქვა, პარლამენტში არ უნდა შევიდეთო. არადა, თვითონ სიაშიც არ იყო.

**— არ ჰკითხეთ, რატომ არ უნდა შევიდეთო?**

— არა... ყველამ, მათაც კი, ვისაც არაფერი ეკითხებოდა, ხელი აწია ანუ ეს შეხვედრა დადგმული სპექტაკლი იყო — უჩემოდ ერთმანეთს ჩუმად შეხვედრიან და ეს გადაწყვეტილება მიუღიათ.

**— პარლამენტში არშესვლა რას ემსახურებოდა?**

— ეს მათ უნდა ვკითხოთ, თორემ მაშინვე ვთქვი, ეს სიბრიყვეა, რადგან პარლამენტში 18 შევდივართ, 18-ვე სპიკერი ვართ, დიდი ფრაქცია გვექნება და უნდა ვიბრძოლოთ-მეთქი. ალტერნატიულ პარლამენტს გავაკეთებთო, მაგრამ გააკეთეს? — ვერა და ვერც გააკეთებდნენ. სხვათა შორის, პარლამენტში შესვლა კობა დავითაშვილსაც უნდოდა და გუბაზსაც. მოღალატეებად გამოგაცხადებთო. მივუგე, მოღალატეებად იქით გამოგაცხადებთ-მეთქი. მოკლედ, ასეთი ლაპარაკი გვქონდა და ყველას დავუპირისპირდი. ვთვლი, რომ მათ იმ ამომრჩეველს უღალატეს, ვინც ხმა მოგვცა და ასევე უღალატეს პრინციპს — ყველაფერი კონსენსუსით გადაგვეწყვიტა. კონსენსუსი ყველას თანხმობას ნიშნავს. მე კი იმწუთას ვთქვი, რომ ამ გადაწყვეტილებას არ ვიზარებდი. იმაზეც შეთანხმებულნი ვიყავით, რომ გაერთიანებულ ოპოზიციაში სეპარატისტული მოლაპარაკებები არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს შეთანხმებაც დაირღვა. ახლა პირდაპირ ვხედავ, ყველაფერი ეს საიდანაც მოდიოდა.

**— საიდან?**

— პირდაპირ რუსული გეგმის ნაწილი იყო...

**— ბატონო გია, რასაც ახლა გკითხავთ, შეგიძლიათ, დაადასტუროთ ან უარყოთ: გთავაზობდნენ, რომ მანქანა აგეფეთქებინათ და ამით არეულობა გამოგეწვიათ?**

— ასეთი რამ არ ყოფილა... გვარი არ მკითხოთ, მაგრამ იყო შემოთავაზება, მოდი, შენი მანქანა დავცხრილოთო.

**— რა მანქანა გყავდათ?**

— „ვილისი“...

**— მანქანის დაცხრილვის მიზანი რა იყო?**

— ამ დროს მიტინგებზე ძალიან ცოტა ხალხი მოდიოდა.

**— ეს რომელი წელია?**

— 2008... იცით, რა პერიოდია? — აი, იპოდრომზე მიტინგი რომ დაშალეს ანუ გადაწყვეტილი გვქონდა, იპოდრომიდან პარლამენტისკენ მარშით წამოვიდოდით, პარლამენტში შევიდოდით და თავს დავაჭერინებდით, მაგრამ ვინ წამოვიდა, სად შემოვიდა?

**— დაჭერისგან თავი ვინ შეიკავა?**

— პრაქტიკულად, ყველამ.

**— გვარები დაასახელეთ!**

— მხოლოდ სიტყვას ამბობდნენ და მორჩა...

**— დღის წესრიგში მაინცდამაინც თქვენი ავტოს დაცხრილვა რატომ დადგა?**

— ამას ერთი კაცი მთავაზობდა.

**— ეს კაცი ისაა, ვისზეც ვფიქრობ? თუ გინდათ, გვარს მე ვიტყვი...**

— რა მნიშვნელობა აქვს, გვარს თქვენ იტყვით თუ მე?..

**— „ვილისის“ დაცხრილვა თქვენთვის, ეგებ, ტესტი იყო?**

— შეიძლება... მერე იტყოდნენ, აი, თორთლაძემ თავის მანქანას ესროლაო... ვუთხარი, მოდი, რა, ასეთ რაღაცებს თავი დავანებოთ და საქმე ვაკეთოთ-მეთქი. რამდენჯერმე ვთქვით, ამ და ამ პირობებს ვაყენებთ და თუ არ შესრულდება, პარლამენტში შევდივართო, მაგრამ ოპოზიციამ თავისი სიტყვა ერთხელაც არ შეასრულა. მერე ვიგებთ, რომ ჩუმ-ჩუმად ვიღაცები მიდიოდნენ, მოდიოდნენ, სააკაშვილს ხვდებოდნენ. ახლა, პირდაპირ სააკაშვილის სიტყვებს გეტყვით, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ბრმად ვენდობი ან ამ სიტყვებს ტირაჟირებას ვუკეთებ, მაგრამ ასეთი რამ მოხდა.

**— რა მოხდა?**

— პარლამენტში რომ შევედი და ანტიკრიზისული საბჭოს თავმჯდომარე გავხდი, სააკაშვილმა მითხრა, ერთი წუთი არ წახვიდეო. ეს ჩვენი პირველი დალაპარაკება იყო. მოკლედ, მითხრა, როცა თქვენ მიტინგებზე დადიოდით, არ მკითხო, ვინ, მაგრამ ორი-სამი კაცის გარდა, ყველა ჩემთან დადიოდა, აი, აქო და ხელი შავნაბადის რეზიდენციისკენ გაიშვირა. ეს ჭეშმარიტებად არ უნდა მივიღოთ, მაგრამ ასეთი საუბარი შედგა.

**— თქვენი აზრით, თქვენს გარდა, ის ორი კაცი, ვინც შავნაბადაზე არ დადიოდა. ვინ იქნებოდა?**

— ამის თქმა ძნელია... გაერთიანებულ ოპოზიციაში ისეთი წონიანი ლიდერებიც იყვნენ, რომლებსაც ხმის უფლება არ ჰქონდათ.

**— სხვათა შორის, მაშინდელი გაერთიანებული ოპოზიციის უმეტესობა დღეს „ოცნების“ სახეა... ბატონო გია, ღალატის გარდა, თავის დროზე ბრალი იმაშიც დაგდეს, რომ თქვენი და ოქრუაშვილის პირადი მიმოწერა გაასაჯაროეთ...**

— როცა მომწერა, ოქრუაშვილი გავაფრთხილე და ღიად ვუთხარი, ამ ტექსტს არ ვეთანხმები და შენი პარტიიდან გავდივარ-მეთქი. როცა გაერთიანებული ოპოზიციის წევრებმა მითხრეს, ახლა დაგვარტყამსო, მივუგე, თქვენ ეს უფრო გარტყამთ-მეთქი და წერილი, რომელიც დღესაც მაქვს და არ გამომიქვეყნებია, ვიწრო წრეში წავიკითხე.

**— არ გინდათ, მომცეთ და ახლა გამოვაქვეყნო?**

— არა, არ მინდა.

**— ნება თქვენია, მაგრამ ამ წერილის შინაარსი მთელმა ქვეყანამ იცის...**

— დეტალები არ იცით...

**— მაშინ, ერთი დეტალი მითხარით...**

— ამბობს, ჩვენმა პარტიამ დანარჩენ ოპოზიციას უნდა დაარტყასო და მთავარი ესაა. ვუთხარი, ამას არ გავაკეთებ-მეთქი...

**— ოქრუაშვილთან როგორ მოხვდით?**

— თვითონ დამიკავშირდა... ჰიმალაიზე ვიყავი, ჯერ სახლში დაურეკავს, მერე, კოკა გუნცაძეს დაუკავშირდა... თუ გახსოვთ, მე, კოკა, კუკავა, ცაგარეიშვილი, ანა დოლიძე, რატი ამაღლობელი და კიდევ ვიღაცები პარტიის გაკეთებას ვაპირებდით. ანა დოლიძე გათხოვდა, რატი ამაღლობელმა აღარ მოინდომა, კუკავასა და ოქრუაშვილს შორის, როგორც ვიცი, რაღაც უცნაური ლაპარაკი შედგა, მოკლედ, კუკავამაც უარი თქვა და ბოლოს, სამნი დავრჩით. დანარჩენი ხალხი კი ოქრუაშვილმა თვითონ მოიყვანა — ეკა ბესელია და ჟურნალისტი გოგოები...

**— მოკლედ, ოქრუაშვილმა შემოგთავაზათ და დათანხმდით, მაგრამ მეგობრები იყავით, პირველსავე დაძახილზე რომ ენდეთ?**

— რომ ვაკვირდები, პოლიტიკაში არავინ არავის მეგობარი არაა.

**— პოლიტიკაში მუდმივი მეგობრობა კი არა, მტრობაც არ არსებობს! ერთი სიტყვით, ოქრუაშვილს ის მაინც არ ჰკითხეთ, პარტიის შესაქმნელად ფული საიდან მოიტანა?**

— ეს კითხვა გამიჩნდა... საბოლოო ჯამში, ოქრუაშვილს პარიზში რომ შევხვდი, ჩემთვის ორი რამ იყო მიუღებელი. პარტიის დაფუძნება რომ გადავწყვიტეთ, სანადიროდ წავიდა, რომ დაბრუნდა, სამ დღეში დაიჭირეს და ბევრი კონსულტაცია-ლაპარაკი არ გვქონია. პარტია უმაგისოდ დავაფუძნეთ...

**— აბა, რას ამბობთ? — პარტიის პრეზენტაციას თავად ოქრუაშვილი უძღვებოდა.**

— ეგ იყო და დამთავრდა... მანამდე სულ კონსულტაციებზე დადიოდა და სალაპარაკო დროც არ იყო...

**— კონსულტაციებზე ვისთან დადიოდა?**

— არ ვიცი... ერთი ვიცი, რომ რესპუბლიკელებს შეხვდა — მოვიდა და ეს თქვა... პარიზში რომ ჩავედით, იქ დაველაპარაკე — ბესელია და ცაგარეიშვილი მაღაზიაში იყვნენ, მე და ოქრუაშვილი კი ვსეირნობდით, ერთი-ერთზე მაშინ დაველაპარაკე და ორი რამ არ მომეწონა.

**— მაინც, რა?**

— დეტალებს ნუ მკითხავთ, ზოგადად კი გეტყვით: მითხრა, რუსებთან ლაპარაკი დავიწყეო, რაც ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელი იყო და მეორე, ფულის წარმომავლობა ვითომ ახსნა, მაგრამ ვერ ახსნა.

**— ფულის კონტექსტში აწგანსვენებული პატარკაციშვილი ახსენა?**

— არა, არა, არა... კონკრეტულად არავინ უხსენებია.

**— თქვენი ეჭვით, ეს ფული რუსული იყო?**

— შეუძლებელია, რომ არ ყოფილიყო — თვითონ თქვა, რუსებთან ლაპარაკი დავიწყეო...

**— ოქრუაშვილის რაღაცები არ მოგეწონათ და მისი პარტიის ხელმძღვანელობა მაინც გააგრძელეთ. ეს რა ლოგიკაა?**

— თბილისში ჩამოვედი, მეორე თუ მესამე დღეს, ოქრუაშვილმა ის წერილი მომაყოლა, რომელზეც წეღან საუბრობდით. გამოვედი და ვთქვი, ამ პოლიტიკური პარტიიდან მივდივარ-მეთქი. ამ წერილიდან რაღაც მონაკვეთები, დაახლოებით, ათ კაცს წავუკითხე.

**— „დახურულ წაკითხვას“ ბესელია და ცაგარეიშვილიც ესწრებოდნენ?**

— ეს წერილი ბესელიასაც მიუვიდა... გაჩეჩილაძე იყო, გუნცაძე, „ახლები“, გუბაზი... აი, ამას მთხოვს, მაგრამ თქვენ დარტყმას არ ვაპირებ-მეთქი.

**— თუკი ერთ საქმეს აკეთებდით, გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერებისთვის რატომღა უნდა დაგერტყათ?**

— ეს ოქრუაშვილს ჰკითხეთ...

**— პარიზშივე გადაწყვიტეთ, რომ ოქრუაშვილს გაემიჯნებოდით?**

— თითქმის... ვიფიქრე, ტრაბახობდა, რუსებთან დავიწყე ლაპარაკიო...

**— რუსების გვარებიც ახსენა?**

— არა...

**— მართალია, ამ ამბებიდან ბევრი დრო გავიდა, მაგრამ, ბატონო გია, დღემდე მუსირებს აზრი, რომ გაერთიანებულ ოპოზიციაში ბადრი პატარკაციშვილმა სოლიდური თანხა ჩადო, საიდანაც 2 მილიონი „მოტყდა“. ამის შესახებ რა იცით?**

— არაფერი... ერთადერთხელ ითქვა, ფული მოგვცა, მაგრამ ცოტაა — შეგვიძლია, მხოლოდ მიკროფონები შევიძინოთ, დინამიკები და სამიტინგო აპარატურაო. პატარკაციშვილი ახლოდან ნანახიც არ მყავდა. ვფიქრობ, თუ რამე ფულს იძლეოდა, არასწორი იყო — გაერთიანებულ ოპოზიციაში 11 ხმა არსებობდა, რომელიც გადაწყვეტილებას იღებდა. შეიძლება, ფულის მიმღები სხვა იყო, მაგრამ გადაწყვეტილების მიმღებებს უნდა სცოდნოდათ, რომ ვიღაცისგან ამდენი და ამდენი დაფინანსება მივიღეთ.

**— ესე იგი, კონკრეტული თანხა არ სახელდებოდა?**

— არასოდეს გამიგია.

**— ვინ ამბობდა, ბადრიმ ცოტა ფული მოგვცაო?**

— ეს დეტალებია...

**— ეშმაკები სწორედ დეტალებში სხედან!..**

— პატარკაციშვილის მხრიდან, ვფიქრობ, შეცდომა ის იყო, რომ, როცა ვინმეს აფინანსებ, მხოლოდ ერთმა და ორმა კაცმა არ უნდა იცოდეს, ფული რამდენია და სად მიდის, არამედ — ყველამ. ეს პატარკაციშვილს კი არა, ნებისმიერ სპონსორს ეხება...

**— გაერთიანებულმა ოპოზიციამ პატარკაციშვილს, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატს, კონკურენტად ლევან გაჩეჩილაძე რატომ ჩაუსვა?**

— გაერთიანებულ ოპოზიციაში იყო ლაპარაკი, მოდი, პრემიერობის კანდიდატად პატარკაციშვილი დავასახელოთო, მაგრამ ეს ამბავი ჩავარდა — როგორც ჩანს, პრემიერ-მინისტრობა ბევრს უნდოდა...

**— ...ბატონო გია, 7 ნოემბერი ოპოზიციის პროვოცირებული იყო? — პარლამენტის წინ ხალხი, პრაქტიკულად, აღარ იყო და გზის გადაკეტვა რატომ მოინდომეთ?**

— ჩვენი დარბევა ხელისუფლების მხრიდან დიდი სისულელე იყო და გეტყვით, ასე რატომაც ვფიქრობ: პირველ დღეს ხალხის ძალიან დიდი რაოდენობა მოვიდა, მეორე-მესამე დღეს — არავინ... წვიმდა. რამდენიმე ადამიანი შიმშილობდა... ისეთ დღეში ვიყავით, აღარ ვიცოდით, რა გაგვეკეთებინა. საბოლოო ჯამში, ცაიტნოტში ხელისუფლება კი არა, ჩვენ ვიყავით.

**— გამოდის, ხელისუფლებამ სიცოცხლე გაგიხანგრძლივათ, არა?**

— რაში სჭირდებოდა? დარბევა ვიღაცების აჩემება იყო.

**— მერე, ნაციონალებთან ხომ ურთიერთობდით და არ გიცდიათ გაგერკვიათ, დარბევის გადაწყვეტილება ვინ მიიღო?**

— ეს ოფიციალური ურთიერთობა იყო...

**— ...რატომ ამბობდნენ, რომ თავიდანვე ნაციონალებთან იყავით შეკრული?**

— დავიწყოთ იმით, რომ ჩემი მოსაზრებით, შეკრულები ეგ ყველანი იყვნენ და ფულსაც იღებდნენ. რაც შეეხება იმას, რომ 2005 წლამდე ნაციონალებთან ვიყავი და მერე წამოვედი, ეგენიც ნამყოფები არიან — რესპუბლიკელებიც იყვნენ, ძიძიგურიც...

**— არ განიცდიდით, აგენტს რომ გეძახდნენ?**

— როგორ არ განვიცდიდი?! ვრეკავდი და ვეუბნებოდი, ყველაფრის მოყოლას მეც დავიწყებ-მეთქი.

**— ვის ურეკავდით?**

— ყველას... აუგად რამდენიმე ადამიანს არ ვუხსენებივარ — მაგალითად, გაჩეჩილაძეს, კოკო გამსახურდიას, კობა დავითაშვილს, გუბაზ სანიკიძესა და კახა შარტავას... ეს მიზანმიმართული იყო და თავიდანვე გამაფრთხილეს, დაგარტყამთო. დამარტყამთ და მეც დაგარტყამთ-მეთქი. ხომ გამოჩნდა, რასაც მაშინ ვამბობდი?

**— რას ამბობდით?**

— ყველაფერს რუსული სუნი ასდის-მეთქი, მაგრამ როგორ გეკადრებათო.

**— ვერ გრძნობდით, რუსული სუნი სააკაშვილის ხელისუფლებასაც რომ ასდიოდა?**

— არ ასდიოდა და გეტყვით, რატომაც: სააკაშვილი მაგათი კაცი იყო და ჩამოგდებას ცდილობდნენ?

**— ჩამოგდების მცდელობა რაში გამოიხატებოდა?**

— თუ გნებავთ, 2008 წლის აგვისტოს ომი, ოპოზიციის მუდმივი დაფინანსება, მერე, ბურჯანაძის ოპოზიციები და ასე შემდეგ...

**— არ ვამბობ, რომ აგვისტოს ომი საქართველომ დაიწყო...**

— თუ ამას იტყვით, სჯობია, დიქტოფონი გამორთოთ და დავიშალოთ!

**— როცა უცხო ქვეყანა იარაღით გიტევს, ცხადია, წინააღმდეგობა უნდა გაუწიო, აბა, რა უნდა ქნა, მაგრამ...**

— ის, ვინც ამბობს, რომ ომი საქართველომ დაიწყო, ვის საქმეს აკეთებს — რუსეთისას თუ საქართველოსი?

**— ალბათ, რუსეთისას, მაგრამ...**

— ერთ წინადადებას გეტყვით: პოლიტიკაში ყველამ ძალიან კარგად იცის, რა წინადადება რისი საფასურია. დამიჯერეთ, ქართულ პოლიტიკაში, ქვეყნის საქმის გარდა, არავინ არაფრის გარეშე არ აკეთებს.

**— ესე იგი, უფასოდ თქვენც არაფერი გაგიკეთებიათ?**

— სხვისი საქმე არასოდეს გამიკეთებია, ქვეყნის საქმე — კი ბატონო. არასოდეს არავითარი წილი და ბიზნესი არ მქონია.

**— რა ვიცი, რაღაცები კი ამოგიქექეს...**

— რა ამომიქექეს? ტყუილი...

**— როგორც მახსოვს, რაღაც კრედიტზე იყო ლაპარაკი...**

— რომელი, შვილის კრედიტი? — ვიხდიდი და დავასრულე გადახდა. დიახ, ტელევიზიით ვაჩვენე, კრედიტი მაქვს და ამით ბავშვის სწავლის ფულს ვიხდი-მეთქი. როცა სწავლის ფულს კრედიტით იხდი, ეს ხომ იმის მაჩვენებელია, რომ სხვა შემოსავალი არ გაქვს? მთელი ცხოვრება ასე მიცხოვრია — ჩემი მოპარული ფული არავის გაუგია, აი, ეგ ღორები კი, ვინც ამას მაბრალებდნენ, დღესაც წილებში არიან და მაშინაც წილებში




იყვნენ. ზოგს ქელეხების დარბაზები ჰქონდა, ზოგი მაგის მერე რკინიგზაში შეძვრა...

**— რკინიგზაში კოკა გუნცაძეა...**

— არა, კოკა გუნცაძეზე არ ვამბობ.

**— აბა, ვისზე ამბობთ?**

— სხვებზე...

**— „ქელეხის დარბაზი“ ვის ჰქონდა?**

— თუ გინდათ, ჩუმად გეტყვით...

**— ჩუმად რად მინდა, გაზეთში უნდა დავწერო!**

— მაშინ არ გეტყვით... ეგენი ჩამოყალიბებული ღორები არიან! გაერთიანებული ოპოზიციის სხდომაზე მინახავს, ორი კაპიკის გულისთვის რა ამბავში იყვნენ. მაგათ მოხარშულს ვიცნობ და, მერკანტილური რაღაცების გარდა, ისე მოიქცნენ, როგორც უკანასკნელი ქართველები — გაიქცნენ რუსეთში, იქაც ფულს ეძებდნენ. ზოგს მისცეს, ზოგს — არა.

**— ისე, შეიძლება, თქვენზეც თქვან, რუსებისააო...**

— რაში გამოიხატება? ჩვენმა პარტიამ, დაფინანსება რომ არ ჰქონდა, 2012 წლის არჩევნებში მონაწილეობა ვერ მიიღო. ე.წ. კემბრიჯის ხუთეული გაგიგიათ? — ხუთივე ბრიტანეთის დაზვერვაში მაღალი თანამდებობის პირი და რუსული სპეცსამსახურის იყო. დააკავეს, ვერ დაუმტკიცეს, სამსახურში დააბრუნეს და რომ გაიგეს, კიდევ რაღაც გორდებოდა, ბრიტანეთიდან რუსეთში გაიქცნენ ანუ იმას ვამბობ, რომ ადამიანმა შეიძლება, ყოველთვის და ყველა დონეზე ითანამშრომლოს.

**— კი ბატონო, მაგრამ წელან დავიწყე და აღარ დამამთავრებინეთ: ომი, ცხადია, რუსეთმა დაიწყო, მაგრამ იმას, რომ სააკაშვილი რუსული გავლენის ქვეშ იყო, იარაღის ბიზნესიც ადასტურებს. ამასთან, 9 წლის განმავლობაში, საქართველოში, როგორც ინვესტორი, 400-ზე მეტი რუსული სახელმწიფო კომპანია შემოვიდა...**

— რომელი იარაღის ბიზნესი?

**— ბატონო გია, ეს ვრცელი თემაა და ვფიქრობ, აგვისტოს ომი სწორედ ამ ბიზნესის გათეთრებას ემსახურებოდა!**

— ომი ხელისუფლების შეცვლას ემსახურებოდა... როცა ტყვეების გაცვლაში, როგორც ოპოზიციონერი დეპუტატი, ვმონაწილეობდი, კარალეთში გენერლებს — ბორისოვსა და ლენცოვს შევხვდით. პირდაპირ იკითხეს: „კაკოი რეიტინგ უ ნინი ანზოროვნი?“ ვპასუხობდით, რა ნინა ანზოროვნა, რის რეიტინგი, ტყვეებზე ვილაპარაკოთო. მოკლედ, რადგან ოპოზიციონერი ვიყავი, აინტერესებდათ, რას ვიტყოდი. სამწუხაროდ, ხალხს სილქნეტის მეხსიერება აქვს — ერთი კვირის მერე იშლება. დღეს ბურჯანაძეზე ლაპარაკი როგორ შეიძლება, რომელიც 2007 წელს გამოვიდა და თქვა, მე და პრეზიდენტმა მივიღეთ მიტინგის დარბევის გადაწყვეტილება, ეს ხალხი პირდაპირ ერთი ჩრდილოური ქვეყნის ინტერესებს ემსახურებოდა. დიდი მადლობა ვანო მერაბიშვილს და გივი თარგამაძესო. ორი-სამი კვირის წინ კი, რუსულ არხზე ბურჯანაძის ინტერვიუ მოვისმინე, სადაც ამბობდა, სააკაშვილი დამნაშავეაო. ამ დამნაშავისგან ერთ ლარად 12 მილიონიანი წყნეთის აგარაკი მიიღო...

**— რომელიც დაბრუნდა...**

— კი არ დააბრუნა, ჩამოართვეს... ასეთი ადამიანები ჩემთვის კატეგორიულად მიუღებლები არიან!

**— 7 ნოემბრის მერე, სააკაშვილმა ქალბატონ ნინოს ყველა ფოლადზე გამძლე ფოლადი უწოდა, თუმცა თქვენთან არა-ჩვეულებრივ ინტერვიუს ბურჯანაძეზე არ ვწერ. ასე რომ, საუბრის თემას შევცვლი! მოკლედ, პოლიტიკაში მაშინ ბრუნდებით...**

— (ისევ სიტყვას მაწყვეტინებს) აგიხსნით, როგორ იყო: ინტერვიუ მივეცი ალპინიზმზე. ჟურნალისტმა მკითხა, პოლიტიკაში დაბრუნებას ხომ არ აპირებთო. ვაპირებ, მაგრამ არ ვიცი, როდის — 2016-ში ან უფრო გვიან-მეთქი.

**— კი ბატონო, მაგრამ ეს განცხადება იმ პერიოდს დაემთხვა, როცა ნაციონალები, ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნით, დიდ მიტინგს აანონსებენ... ვადამდელი არჩევნები რომ დაინიშნოს, ბედს არ სცდით?**

— მონაწილეობას ვერ მივიღებ, ჩემი გეგმები მაქვს — 6 თვეში უნდა წავიდე.

**— სად?**

— მთაში, კაცო...

**— ბატონო გია, პოლიტიკაში ჩართვით თქვენი, როგორც მთამსვლელის იმიჯიც შეილახა. არ ნანობთ?**

— ეს კაგებე-ს მეთოდოლოგიაა, ადამიანს ტალახი ესროლონ — ვაჟკაცი ადამიანებისთვის არნახული სიბინძურეები დაუბრალებიათ. იცით, კიდევ რა დამაბრალეს? — გია თორთლაძეს „ტელეკომის“ წილი აჩუქესო. რა „ტელეკომის“ წილი, რის „ტელეკომის“ წილი, სად არის?

...ორი წელი ხმა არ ამომიღია. რა, ცუდი ვერაფერი დავინახე? ჩემი ქვეყნის წინააღმდეგ ჩასაფრებული ადამიანი არ ვარ. ვინც ხელისუფლებაში მოვიდა, რამდენიმეს გარდა, მოხარშული ვიცი, ვინ და რა არის. ზუსტად ვიცოდი, რას გააკეთებდნენ, მაგრამ ვაცადე და ეს ქვეყანა კატასტროფისკენ მიჰყავთ, როგორც საგარეო, ისე შიდა და ეკონომიკური პოლიტიკის თვალსაზრისით.

**— როგორც მთამსვლელი, ე.წ. ივანიშვილის ხელფასს იღებდით?**

— არა. ვიდრე დეპუტატი გავხდებოდი, „ქართუ ჯგუფმა“ ჰიმალაიში ექსპედიცია დამაფინანსა, თუმცა ივანიშვილი თვალით არ მყავდა ნანახი.

**— ქუჩაში ხალხი აგრესიით გხვდებათ?**

— არა, არასოდეს მოუძახებიათ, „გამარჯობა“-ს არ გეტყვითო...

**— მიშამ შეხვედრის ინიციატივა რომ გამოიჩინოს, შეხვდებით?**

— შეხვედრაზე უარს არავის ვეუბნები. ჩემმა ყოფილმა კოლეგებმაც რომ დამირეკონ, რომლებიც ჩემზე ცუდს ამბობდნენ, ან არა და ურთიერთობა აღარ მაქვს, მათაც შევხვდები.

**— მათ კი შეხვდებით, მაგრამ მიშა „შიდა ძებნილია“...**

— ბავშვობიდან მოყოლებული, იმდენ ძებნილს შევხვედრილვარ, რომ მთავარი არაა, ამ ხელისუფლებამ ძებნილი ვის დაარქვა. მოკლედ, თუ ადამიანს შეხვედრა მოუნდება, შევხვდები...

**— მიშას, რომელსაც იმასაც აბრალებენ, ქალებს ძუძუებს აჭამდაო, რატომ უნდა შეხვდეთ?**

— იცით, რა?! — ორწელიწადნახევარია, ამათ ვუყურებ და ამბობენ, ამას პეტრე შვრებოდა, იმას — პავლე, იმას კიდე — ივანეო, მაგრამ ათასობით ადამიანს მთავარი რაღაცები ვერ დაუმტკიცეს.

**— თავის დროზე, მაგალითად, სანდრო გირგვლიანის მკვლელობას ხომ აპროტესტებდით?**

— ის ხელისუფლება რამდენიმე ასეთმა პრობლემამ გადაიყოლა. სხვათა შორის, გირგვლიანის ამბავი რომ მოხდა, 50 თუ 70 კაცი ვიდექით კანცელარიასთან, მაშინ პრეზიდენტი იქ იჯდა, ძალიან რომ გაგვიჭირდა — არავინ მოდიოდა, პარლამენტის წინ ე.წ. სალარო აპარატების ხალხი იდგა, იქ ვიღაც გაიქცა და ცოტა ბევრნი რომ გამოვჩენილიყავით, ამოიყვანა. მერე კი, იმ პოლიტიკოსების მხრიდან, ვინც მიტინგზე არ მოდიოდნენ, ამ გვარის ხსენებას ცოტა სპეკულაციის სუნი ასდიოდა... ნებისმიერ ადამიანს, მიშა იქნება თუ ივანიშვილი, შევხვდები, გავიგებ, რა უნდა და ჩემს დასკვნას გამოვიტან. არასოდეს დავთანხმებულვარ და არც დავთანხმდები ჩემი ქვეყნის წინააღმდეგ განცხადებებსა და მოქმედებაზე, ასევე, ტერორსა და კორუფციაზე. ეს ძალიან კარგად იციან!

**— ...რითი ცხოვრობთ, ბატონო გია?**

— ოფისს ვაქირავებ, პარლამენტარის პენსიაც მაქვს. ასევე, წელიწადში სამჯერ ან ორჯერ სპონსორები ჩემს მთაში სიარულსა და ფილმებს აფინანსებენ.

**— „ოცნება“ პრობლემებს გიქმნით?**

— ჩემი დაფუძნებული დეოკუპაციის ცენტრის გაუქმება სცადა — რამდენიმე ფილმი უნდა გადაგველო, მაგრამ კულტურის სამინისტრომ გააჩერა.

**— ...გია ბატონო, თავს პოლიტიკოსად თვლით?**

— როგორ არ ვთვლი?! 8 წელი, დეპუტატი ვიყავი.

**— ...რას ნანობთ?**

— თუ ადამიანს სინანულის გრძნობა არ აქვს, ნორმალური არაა, მაგრამ რომ ვთქვა, რაღაც დიდს ვნანობ-მეთქი, ასეთი არაფერია... გეტყვით, რაც პოლიტიკაში გავაკეთე: შევარდნაძის ხელისუფლების წინააღმდეგ ვიბრძოდი, რამდენიმე თანამდებობაზე არ დავთანხმდი და არ ვნანობ.

**— ვინ, როდის და რა თანამდებობას გთავაზობდათ?**

— ამაზე ლაპარაკი არ გვინდა... გაერთიანებულ ოპოზიციაში ჩემს პოზიციას ყოველთვის ვამბობდი, რასაც არ ვნანობ.. არც იმას ვნანობ, პარლამენტში რომ შევედი და არც იმას — პარტია რომ შევქმენი. არც ანტიკრიზისული საბჭოს თავმჯდომარეობას ვნანობ და არც — ფრაქციისას.

**— ბოლოს, ბატონო გია, ფარული ჩანაწერები თქვენზეც არსებობს?**

— რომ ჰქონოდათ, ან ნაციონალები გამოაქვეყნებდნენ, როცა იქიდან გამოვედი ან როცა მიტინგებზე ვიდექი, ან ესენი გამოაქვეყნებდნენ, როცა მოვიდნენ და მთელი ფაილები ჩაიგდეს. რა კომპრომატი უნდა ჰქონდეთ?

**— ვთქვათ, ცოლს რომ ღალატობთ...**

— ასეთი რამ არ ექნებათ! დარწმუნებული ვარ, რადგან ასეთი რამ არ არსებობს და როგორ გადამიღებდნენ?! თუ აქვთ, კი ბატონო, გამოაქვეყნონ!

მაია მიშელაძე
593-51-90-12

# ფულთაყვანისმცემლობა კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ დღეს, 9 მარტს, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მონიტორინგის შედეგებს გამოაქვეყნებენ. კვლევის მიხედვით, კომუნიკაციების ეროვნული კომისია საქართველოში ყველაზე მდიდარი სახელმწიფო ორგანოა, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ ფინანსდება, მაგრამ კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში რეგულირების საფასურის გადამხდელი პირებისგან კოლოსალურ თანხას იღებს. 2014 წლის არასრული მონაცემებით, გადასახადების სახით, კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 4 815 534 ლარის შემოსავალი მიიღო.**



სოფიო ბრიტანჩუკი, ეროვნული მარეგულირებელი კომისიის წევრი 2008 წლიდან - დღემდე

| NN | თარიღი | სულ | მათ შორის ხელფასი | პრემია |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2008 | 263,525.72 | 175,028.92 | 88,496.80 |
| 2 | 2009 | 195,087.09 | 149,829.89 | 45,257.20 |
| 3 | 2010 | 170,719.48 | 151,778.28 | 18,971.20 |
| 4 | 2011 | 177,805.87 | 152,268.27 | 25,537.60 |
| 5 | 2012 | 203,073.73 | 151,795.73 | 51,278.00 |
| 6 | 2013 | 247,908.78 | 151,783.18 | 96,125.60 |
| 7 | 2014 | 143,863.35 | 76,192.83 | 67,670.52 |

## მონოპოლისტური სქემა, რომლითაც კომისია კოლოსალურ შემოსავლებს იღებს — „ახალგაზრდა ადვოკატების“ მონიტორინგის შედეგები

„ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელმა, არჩილ კაიკაციშვილმა „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ კომუნიკაციების ეროვნული კომისიიდან გამოთხოვილი ინფორმაციით, კომისიის წევრების, ასევე, თავმჯდომარის ხელფასებისა და პრემიების მიღების საკითხი შეისწავლეს. მისივე თქმით, კომისიის თავმჯდომარის ერთი თვის ხელფასის ოდენობა 13 312 ლარი, კომისიის წევრების ყოველთვიური შრომითი ანაზღაურება კი 12 648 ლარია.

**„გადავწყვიტეთ, საზოგადოებას გავაცნოთ კომუნიკაციების კომისიის თავმჯდომარის, ირაკლი ჩიქოვანისა (კომისიას 2013 წლის აპრილამდე თავმჯდომარეობდა) და 2014 წლის აპრილიდან დღემდე, ამ კომისიის მოქმედი თავმჯდომარის, ვახტანგ აბაშიძის ხელფასისა თუ პრემიის სახით მიღებული შემოსავლები. ასევე, კომისიის წევრების — სოფიო ბრიტანჩუკის, აკაკი სიხარულიძის, ირაკლი მოსეშვილისა და კახი ბექაურის შემოსავლები, რომლებიც მხოლოდ 2014 წლის მდგომარეობას არ ეხება“,** — განუცხადა „ვერსიას“ არჩილ კაიკაციშვილმა.

**ვახტანგ აბაშიძე** (ეროვნული მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე 2014 წლის 16 აპრილიდან დღემდე) — 2014 წელს, ხელფასისა და პრემიის ჩათვლით, ჯამში, 23 966 ლარზე მეტი შემოსავალი მიიღო.

**ირაკლი ჩიქოვანი** (ეროვნული მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე 2009-2013 წლებში) — მხოლოდ 2013 წელს, ხელფასისა და პრემიის ჩათვლით, ჯამში, 22 122 ლარზე მეტი შემოსავალი მიიღო.

**სოფიო ბრიტანჩუკი** (ეროვნული მარეგულირებელი კომისიის წევრი 2008 წლიდან დღემდე) — მხოლოდ 2014 წელს, ხელფასისა და პრემიის ჩათვლით, ჯამში, 143 863 ლარზე მეტი შემოსავალი მიიღო.

**აკაკი სიხარულიძე** (ეროვნული მარეგულირებელი კომისიის წევრი 2008-2015 წლებში) — 2014 წელს, ხელფასისა და პრემიის ჩათვლით, ჯამში, 136 492 ლარზე მეტი შემოსავალი მიიღო.

ირაკლი მოსეშვილი (ეროვნული მარეგულირებელი კომისიის წევრი 2009-2015 წლებში) — 2014 წლის მდგომარეობით, ხელფასისა და პრემიის ჩათვლით, ჯამში, 137 238 ლარზე მეტი შემოსავალი მიიღო.

კახი ბექაური (ეროვნული მარეგულირებელი კომისიის წევრი 2014 წლის 24 იანვრიდან დღემდე) — 2014 წლის მდგომარეობით, ხელფასისა და პრემიის სახით, ჯამში, 42 057 ლარზე მეტი შემოსავალი მიიღო.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისგან ინფორმაცია 8 სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთა ხელფასებზე, პრემიებსა და დანამატებზეც მოითხოვეს, მაგრამ კომისიამ ინფორმაცია, პერსონალური მონაცემის საფუძვლით, არ გაახმაურა. ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ კანონით, ინფორმაციის საჯაროობა მხოლოდ აღნიშნული ხელმძღვანელების თანხმობის შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუმცა კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში „ახალგაზრდა ადვოკატებს“ განუცხადეს, რომ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთაგან ასეთი თანხმობა არ მიუღიათ:

**„ჩვენი ორგანიზაცია საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პარლამენტს მოუწოდებს, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მიმართ მომთხოვნი და კრიტიკული პოზიცია ჩამოყალიბდეს, რადგან კომისიის ეფექტიანობა და კანონით მინიჭებული ვალდებულებების შესრულება მნიშვნელოვან კითხვებს ბადებს. კომისიას ოთხი ძირითადი მიზანი და ამოცანა აქვს: ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში მონოპოლიური საქმიანობის დაუშვებლობა, თანასწორუფლებიანი და სამართლიანი კონკურენტული გარემოს შექმნა, თანამედროვე ტექნოლოგიების მოზიდვა და ამ მიზნით, საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობა, ასევე, მომხმარებელთა კანონიერი ინტერესების დაცვა, კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში არსებული ვითარებისა და გამოწვევების ფონზე, რეალურად უზრუნველყოფილი არ არის. კომისიის გავლენა და მონიტორინგი ანტიმონოპოლიური რეგულირებისა და კონკურენტული ბაზრის შექმნის საჭიროებაში მხოლოდ სიმბოლურია“,** — აცხადებს არჩილ კაიკაციშვილი.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შეფასებით, კომუნიკაციების ეროვნული კომისია საჯარო სამართლის იურიდიულ პირი (სსიპ), მუდმივმოქმედი დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანოა და ვალდებულია, თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიში პრეზიდენტსა და პარლამენტს წარუდგინოს, თუმცა კომისიის მეტი ანგარიშვალდებულების საკითხი საზოგადოებრივი მსჯელობისა და შესაძლოა, ახალი საკანონმდებლო რეგულაციების შემოღების საფუძველიც კი გახდეს, რადგან ამ სტრუქტურის შემოსავლის წყარო ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში ავტორიზებული პირებისა თუ ლიცენზიის მფლობელი ორგანიზაციების მიერ გადახდილი რეგულირების საფასურია. ეს კი მოქალაქეების, მომხმარებლების უფლებების დაცვასა და მათ მიერ გადახდილი გადასახადების შესაბამისი გარემოს შექმნას უნდა ემსახურებოდეს.

**არჩილ კაიკაციშვილი: „რითია რიგით პედაგოგზე, ჟურნალისტზე, ექიმზე, პენსიონერსა თუ ადვოკატზე მეტად დამაშვრალი კახი ბექაური ან სოფიო ბრიტანჩუკი, რომელიც მომხმარებლების მიერ გადახდილი თანხების ხარჯზე, კომპანიებისგან ასეთ შრომით ანაზღაურებას იღებდნენ?!“**

„ვერსიას“ „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელი, **არჩილ კაიკაციშვილი** ესაუბრა:

**— არჩილ, რატომ გადაწყვიტეთ, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მონიტორინგი განგეხორციელებინათ? ერთ-ერთი მოტივაცია ისიც ხომ არ იყო, რომ ეს კომისია ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროსაც ერთ-ერთ მდიდარ უწყებად მიიჩნეოდა?**

— „ახალგაზრდა ადვოკატები“ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობით 2014 წლის აგვისტოდან დაინტერესდა. შევისწავლეთ ბაზარზე წარმოდგენილი ინტერნეტ-პროვაიდერების საქმიანობა, შემოთავაზებული სატარიფო პოლიტიკა და მომხმარებელთა წინაშე მდგარი ძირითადი საკითხები. 2014 წლის 23 ივლისს, კომისიას ოფიციალური რეკომენდაციით მივმართეთ და ამ სფეროში არსებული კარტერული გარიგებების, მონოპოლისტი კომპანის მიმართ სწორი პოლიტიკის გატარება ვთხოვეთ. მიგვაჩნდა, რომ ინტერნეტ მომსახურებაზე ტარიფის ზედა ზღვრის დადგენის საჭიროება არსებობდა. 2014 წლის თებერვლის მდგომარეობით, საქართველოში სულ 126 აქტიური ინტერნეტ-პროვაიდერია ფიქსირებული, მაგრამ საცალო ინტერნეტის ხვედრითი წილი, ქვეყნის მასშტაბით, თბილისის ჩათვლით, ძირითადად, შემდეგ პროვაიდერებს შორის გადანაწილდა: „კავკასუს ონლაინი“ — 42.9148%, „სილქნეტი“ — 31.1657%, „მაგთიკომი“ — 7.0508%, „ახალი ქსელები“ — 5.5134%, „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია“ — 3.3545%, „ახტელი“ — 2.2693%, „ვიტალ ჯორჯია“ — 1.1304% და „ა-ნეტს“ — 0.6056%. ამასთან, ორი კომპანია – ს/ს „სილქნეტი“ და ს/ს „კავკასუს ონლაინი“ ადრეც და ახლაც ბაზრის ლიდერად რჩება. აბონენტების მიხედვით, „სილქნეტის“ საცალო ხვედრითი წილი 26%-ია, ხოლო „კავკასუს ონლაინის“ კი 66%-ს აღემატება. შემდგომ პოზიციებზე „ახტელი“ და „ახალი ქსელები“ არიან. რაც შეეხება სხვა ინტერნეტ პროვაიდერების საქმიანობას, მათ ბაზრის მცირე სეგმენტი უჭირავთ.

ჩვენი ორგანიზაციის დაკვირვებით, „სილქნეტისა“ და „კავკასუს ონლაინის“ ბაზარზე არსებული, პრაქტიკულად, მონოპოლიური მდგომარეობა საფუძვლიან ეჭვს ბადებდა, რომ მომხმარებელთა უფლებები და კანონიერი ინტერესები, კომპანიებს შორის სატარიფო პოლიტიკაზე დადებული ფარული შეთანხმების ქვეშაა მოქცეული. საკითხის ანალიზმა აჩვენა, რომ ინტერნეტ პროვაიდერების მიერ მიწოდებული ინტერნეტის ხარისხი ხშირად არ შეესაბამებოდა და ვფიქრობ, არც ახლა შეესაბამება სააბონენტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს. შესაბამისად, კომისიას მივმართეთ და მოვითხოვეთ, ინტერნეტ-მომსახურებაზე მართლზომიერი, ტარიფის ზედა ზღვარი დადგენილიყო და ამ მიმართულებით შესაბამისი რეგულაციებიც შემოგვეღო. აუცილებელია, რომ ინტერნეტ-ბაზარი საფუძვლიანად შევისწავლოთ და მონოპოლიურ მდგომარეობაში არსებულ კომპანიებს სამართლებრივი პასუხისმგებლობაც დავაკისროთ. მომხმარებლებსა და კომპანიებს შორის მომსახურების შესახებ დადებულ ხელშეკრულებებს კი სამართლებრივი ექსპერტიზა უნდა ჩაუტარდეს, რათა ისეთი უპირატესობები გამოირიცხოს, რომელიც მომხმარებელთა უფლებებს, პირდაპირ თუ ირიბად, არღვევს. ჩვენს რეკომენდაციას კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ დუმილით უპასუხა, „ახალგაზრდა ადვოკატები“ ასეთ ინდიფერენტულ დამოკიდებულებას არ მოველოდით. გაგვიჩნდა ლოგიკური ეჭვი, ხომ არ იყო რაიმე ინტერესებით შებოჭილი კომისია ან მისი ცალკეული წევრი? ამიტომ გადავწყვიტეთ, თვალსაწიერი გაგვეფართოებინა და კომისიის საქმიანობის სრული შესწავლა დავიწყეთ. საბოლოოდ, ხელში შეგვრჩა ყველაზე მდიდარი სახელმწიფო ორგანო და ამის შემდეგ დასკვნები თვითონ გამოიტანეთ.

**— გარდა იმისა, რომ 9 მარტს პრესკონფერენციას მართავთ, თქვენი შემდეგი ნაბიჯი რა იქნება?**

— „ახალგაზრდა ადვოკატები“ იმ ფუნქციას ასრულებს, რომელიც ნორმალურ, დემოკრატიულ ქვეყანაში არასამთავრობო ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს. ჩვენ პრობლემა და საკითხი მივიტანეთ გადაწყვეტილების მიმღებ პოლიტიკურ წრეებამდე, ინსტიტუტებამდე, საზოგადოებამდე. პარლამენტს მივმართავთ რეკომენდაციით, რათა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობას მიხედოს. მინისტრების პრემიები რა მოსატანია — მთავრობა მუშაობს და ცალკეული მინისტრები საქმეს მაინც აკეთებენ. აი, კომისიის მაღალი თვითშეფასება, მგონი, ყველასთვის განსჯის საგანი უნდა გახდეს. როგორც რიგით მოქალაქეს, მაქვს ადამიანური კითხვა, ჩვენისთანა გაჭირვებული ქვეყნის, თუნდაც დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანოს კომისიის წევრები, რატომ უნდა იღებდნენ ასეთ კოლოსალურ თანხებს იმ შრომაში, რომელიც სამართლიანი არაა?! რითია რიგით პედაგოგზე, ჟურნალისტზე, ექიმზე, პენსიონერსა თუ ადვოკატზე მეტად დამაშვრალი კახი ბექაური ან სოფიო ბრიტანჩუკი, რომელიც მომხმარებლების მიერ გადახდილი თანხების ხარჯზე, კომპანიებისგან ასეთ შრომით ანაზღაურებას იღებს? რატომ უნდა გაასაიდუმლოონ თუნდაც ამავე კომისიის იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელის, კახი ყურაშვილის ხელფასი, რომელიც, ჩემი აზრით, იურიდიულად „აფორმებს“ ქართულ ბაზარზე მონოპოლისტი კომპანიების მდგომარეობას?! დღევანდელ საქართველოში, ეს სამართლიანია არაა. ამიტომ ამ თემაზე დისკუსიისთვის მზად ვართ, იმისთვისაც მზად ვართ, რომ ჩვენი პოზიციები სამთავრობო დონეზე დავიცავათ!

## ვერსიანიუსი

### კახელმა პოლიციელებმა ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის სისხლი გაიღეს



შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის კახეთის მთავარი სამმართველოს, დაცვის პოლიციის დეპარტამენტის კახეთის რეგიონული დაცვის პოლიციის სამმართველოს და შსს-ს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს კახეთის რეგიონალური მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, აქციის – „გაიღე სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლე“ – ფარგლებში, ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის სისხლი გაიღეს. შინაგან საქმეთა სამინისტრო აღნიშნულ აქციაში თითქმის ორი წელია მონაწილეობს. უწყების სხვადასხვა დანაყოფის თანამშრომლები, მ. იაშვილის სახელობის კლინიკის „სისხლის ბანკის“ დახმარებით, ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის სისხლს რეგულარულად აბარებენ. სისხლის ჩაბარების აქცია პერმანენტულად იმართება როგორც თბილისში, ისე საქართველოს ყველა რეგიონში. აღნიშნულ აქციაში სამინისტროს მონაწილეობის მიზანია ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის საჭირო სისხლისა და სისხლის კომპონენტების დეფიციტის შემცირება.

*„ვერსიანიუსი“*

# რა მოხდება 21 მარტს




ნინო კომახიძე
599-95-33-16

**ნაციონალური მოძრაობა 21 მარტს რევოლუციას იწყებს. ყოველ შემთხვევაში, თავად ამბობენ, ამ დღეს მასშტაბური აქციები დაიწყებაო და ყველას, ვინც „ოცნებისგან“ თავს მოტყუებულად გრძნობს, რუსთაველზე ეპატიჟებიან. სხვათა შორის, ამ თარიღის დასახელებით, „ყოფილებმა“ შური საპარლამენტო უმრავლესობაზე იძიეს, რომელმაც რიგგარეშე სხდომა ჩაუშალა და მთავრობის ეკონომიკურ გუნდთან დებატების საშუალება არ მისცა, თუმცა იმის თქმა, რომ ექსხელისუფლებამ რევოლუცია ამ განაწყენებიდან 1 საათში, 1 კაბინეტში დაგეგმა შეუძლებელია.**

ასეა თუ ისე, ფონი მძიმეა — ამ დღეებში ცეკავშირის აქციონერები უვადო შიმშილობას იწყებენ, იპოთეკარებიც მუდმივი აქციებით იმუქრებიან, თბილისსა და რეგიონებში კი შიმშილობას პატიმართა მშობლები გეგმავენ. მართალია, ნაციონალებს განსაკუთრებით პატიმრების მშობლები არ ენდობიან, მაგრამ ხელისუფლებაზე არაერთი სოციალური ჯგუფია განაწყენებული, რომლის „წამოკიდებაც“, ყველაფრის მიუხედავად, მიშას „სასტავს“ მაინც შეუძლია. სწორედ ამ დაძაბული ფონის გამო, 4 მარტის, ერთი შეხედვით, სრულიად კანონიერმა აქციამაც კი, უკანონო სახე მიიღო — აქციის ერთმა ერთმა მონაწილემ, ჟურნალისტს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა (მოძალადეს სასამართლომ 3 000 ლარიანი გირაო შეუფარდა). აქედან გამომდინარე, არავინ იცის, 21 მარტს, როცა ნაციონალები მხოლოდ „ოცნების“ „შემოლაწუნებას“ კი არ დასჯერდებიან, არამედ, მთავრობის გადადგომასაც მოითხოვენ, მოვლენები როგორ განვითარდება. ისე, მთავრობის გადადგომა ნაციონალების ექსკლუზივი არაა — ამას ზოგიერთი პოლიტიკური ძალა „ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის წუთიდან ითხოვს. ასე რომ, საინტერესოა, 21 მარტის აქციას ოპოზიციის სხვა ფრთაც შეუერთდება თუ არა.... მოკლედ, როგორ აფასებენ 21 მარტს დაგეგმილ აქციას პოლიტიკური პარტიები — მთავრობის გადადგომის მომხრენი არიან თუ „ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნაზე მიუღებელი ისაა, რომ მის გადადგომას ნაციონალური მოძრაობა ითხოვს? თუკი 2012 წელს, ნაციონალების გასაშვებად, ერთმანეთისთვის მიუღებელი ბევრი პარტია გაერთიანდა, დღეს ვითარება იმ კონდიციამდე ხომ არაა, რომ ვიღაცებმა, ოღონდ „ოცნება“ წავიდეს და, ნაციონალების წარსულზე თვალი დახუჭონ?

ლეიბორისტები აქციას არ უერთდებიან, თუმცა მშიერი ბუნტის ალბათობაზე საუბრობენ. **„ქვეყანა რომ გადარჩეს, ამისთვის ნაციონალებიცა და „ოცნებაც“ პოლიტიკურ სანაგვეზე უნდა ვიხილოთ. ნაციონალების აქცია შექმნილი კრიზისის სათავისოდ გამოყენების მცდელობაა და „ოცნების“ შეცვლას არ ისახავს მიზნად. ამ აქციას ნაციონალები რომ არ ატარებდნენ, დარწმუნებული ვარ, მოთხოვნას ბევრი ადამიანი შეუერთდებოდა. ჩვენი თვითმიზანი მთავრობის გადადგომა არაა, რადგან, თუ ახალ არჩევნებს იგივე კანონმდებლობით ჩავატარებთ, ძველ შედეგებს მივიღებთ. არც თბილისურ მაიდანს ველი, რადგან ეს ორი ძალა ერთმანეთს ავსებს და ასულდგმულებს, თუმცა, თუ ვითარება არ შეიცვალა, არ გამოვრიცხავ, ეს ხელისუფლება მშიერმა ბუნტმა გადაიყოლოს“,** — განუცხადა „ვერსიას“ **გიორგი გუგავამ.**

ნინო ბურჯანაძის პარტიის წარმომადგენელი **დიმიტრი ლორთქიფანიძე** ქუჩაში ხალხთან ერთად გავა, თუ ნაციონალებს განაჩენს თავად ხალხი გამოუტანს: **„ამ დანაშაულებრივ სინდიკატთან შეერთება არამხოლოდ ამორალურად, არამედ, დანაშაულადაც მიმაჩნია. სხვა თემაა, რამდენად გასაზიარებელია აქციის მოთხოვნა. მთავრობის ცუდად მუშაობის მიუხედავად, მისი გადადგომის საკითხს კონსტიტუციური საფუძველი უნდა ჰქონდეს, თუმცა ეს საფუძველიც რომ იყოს, საარჩევნო სისტემისა და კოდექსის რეფორმირების გარეშე ვადამდელი არჩევნების დანიშვნას ყოველგვარი აზრი ეკარგება. მთავრობის გადადგომა, მოთხოვნა რაც უნდა ლეგიტიმური იყოს და ვიცი, დღეს საზოგადოებას ეს მართლა სურს, მანამ ვერ მოხდება, ვიდრე საარჩევნო სისტემა არ შეიცვლება. 2012 წელს, ნაციონალების გაშვების პროცესში ყველა ჩაება, ნაციონალებთან ერთად კი „ოცნებას“ არავინ გაუშვებს, რადგან ძველ ხელისუფლებას ხელი სისხლში აქვს გასვრილი. პროკურატურაში ახალი დეპარტამენტი გაიხსნა, რომელსაც 18 000 საქმე აქვს გადასახედი. თუ სამართლიანობის აღდგენა გაჭიანურდება და ძალადობის მსხვერპლთა კრიტიკული მასა დაგროვდება, ეს ხალხი ნაციონალებს თავად დაუპირისპირდება, ამ დროს ხალხის გვერდით ვიქნები“.**

ნაციონალების აქციას არც თავისუფალი დემოკრატები უერთდებიან. მიუხედავად იმისა, რომ მათგან სხვა პოზიციას არც ველოდი, ალასანიას პარტიის წევრმა, დეპუტატმა **გიორგი ცაგარეიშვილმა** კითხვის გამო აღშფოთება ვერ დამალა: **„21 მარტს აქციაზე ერთი ჭკუათმყოფელიც არ გავა. საერთოდ, ცინიკურად ჟღერს, როცა ეს პარტია ხალხს რუსთაველზე უხმობს, რადგან მშვიდობიან მიტინგებს, წლების განმავლობაში, სწორედ იქ არბევდა. ისე, ნაციონალების უფლებაა, ღია ცისქვეშ, უიარაღოდ შეიკრიბონ, პროტესტი მშვიდობიანად გამოხატონ და ლოზუნგები შეიმუშაონ, მაგრამ ამ ფუჭ მოწოდებებს, ვიგინდარებისა და ავაზაკების გარდა, არავინ გამოეხმაურება. თუ ფიქრობთ, ჭკუიდან ისე გადავედი, ამ აქციისადმი რაიმე სახის სოლიდარობა გამოვხატო, ე.ი. კარგად არ მიცნობთ. ეს კითხვა ნებისმიერ სხვას დაუსვით. საერთოდ არ მაინტერესებს მათი მოწოდებები, ლოზუნგები, არც ის მადარებს, აქციებზე ვინ მივა. მათი მხარდამჭერები სხვაგან ეძებეთ, თუ იპოვით. წყალსაც წაუღია ნაციონალური მოძრაობა და მათი აქცია“.**

აქციას არც „ქართული დასის“ ლიდერი **ჯონდი ბაღათურია** უერთდება — ბაღათურია კახა კალაძის წინააღმდეგ საკუთარი აქციების სერიას იწყებს და აცხადებს, რომ ნაციონალებმა რეალურ ოპოზიციას ქუჩის პროტესტის გზა მოუჭრეს: **„იმის ტვინში ჩამახედა, ნაცების აქციაზე რომ მივა. სააკაშვილი და მისი ბანდა ხალხს იმდენად ეზიზღება, დილით რომ თქვან, გათენდაო, ხალხი არ დაუჯერებს. ამიტომ, რაც უნდა აქტუალური იყოს მთავრობის გადადგომის მოთხოვნა, ნაცების აქციაზე არავინ მივა — არც ერთი ნორმალური პარტია რუსთაველზე არ იქნება, მისი სატელიტების გარდა, რომელთაც 4 მარტს აქცია უკვე ჩაატარეს. ხელისუფლების შეცვლის მოთხოვნა ბოლო დროს ძალიან აქტუალურია, მაგრამ ნაცების გადასაყენებელი არავინაა. სინამდვილეში, ნაციონალებსა და „ოცნებას“ ერთმანეთი ჰაერივით სჭირდებათ. ნაცებმა, ამ სულელური აქციების დაანონსებით, გზა რეალურ ოპოზიციას მოუჭრეს, რომელსაც მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება სურდა. შეცდომა დავუშვით, როცა ხმამაღლა ვთქვით, რომ ამ საკითხზე ვფიქრობთ, მათ ავი ძაღლებივით დაგვასწრეს. ამიტომ ახლა დავაცდით, ჩაატარებენ ამ სულელურ აქციას, რომელზეც ხალხი არ მივა, კიდევ ერთხელ დარწმუნდებიან, რომ მათი ადგილი პოლიტიკაში აღარაა და თავიანთ გზას გაუყვებიან“.**

ნაციონალების პოლიტიკიდან წასვლის ბაღათურიასეულ ორიგინალურ პროგნოზს პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი **ირმა ინაშვილი** არ ეთანხმება. მისი ინფორმაციით, ნაციონალები გადამწყვეტ დარტყმას აპრილში გეგმავენ, თავად კი „ოცნებაში“ მყოფი ნაციონალი მაღალჩინოსნების სიის გამოქვეყნება აქვს დაგეგმილი: **„ნაციონალების არაერთი ლიდერი კონკრეტულ დანაშაულშია მხილებული, მათი გუნდის პირველკაცს, სააკაშვილს 4 ბრალი აქვს წაყენებული და ჩემი ინფორმაციით, ბრალი სხვა საქმეებზეც დაუმძიმდება, შესაბამისად, როცა აქციას ასეთი ხალხი მართავს, არაადეკვატურია. ვფიქრობ, არც 21 მარტამდე და არც 21 მარტს ალტერნატიული აქციის გამართვა საჭირო არაა. პირიქით, ნაციონალებს საშუალება უნდა მისცენ, აქცია ჩაატარონ და თავი გამოავლინონ. ისინი „ოცნებამ“ გადაარჩინა და დღემდე აცოცხლებს, დღეს კი სწორედ ნაციონალები აყენებენ დღის წესრიგში „ოცნების“ გადადგომას. მათი გადასაყენებელი ხელისუფლება არ მყავს, ამ მთავრობას თვითონ გადავაყენებ, თუ საჭირო იქნება. არც ის დამიანონსებია, ნაციონალი მაღალჩინოსნების სიას როდის გამოვაქვეყნებ და არ ვაპირებ, 21 მარტამდე გავასაჯაროო. ისე, სია 32-დან 57 კაცამდე გაიზარდა. ისინი არიან თავდაცვის, შინაგან და საგარეო საქმეთა სამინისტროებში, შემოსავლების სამსახურში. მათ პირდაპირი წვდომა აქვთ სახელმწიფო საიდუმლოებასთან, დაკავშირებულნი არიან უკრაინასა და სააკაშვილის გუნდთან. ვფიქრობ, 21 მარტს არაფერი მოხდება — შეიკრიბებიან და დაიშლებიან, თუმცა ეს მთავრობა მართლა გადასაყენებელია და აუცილებლად ვადამდელი არჩევნებია დასანიშნი!“**

აქციას არც ნაციონალების მხარდამჭერად მიჩნეული ნიკა რურუას მიერ დაარსებული არასამთავრობო ორგანიზაცია „ივერია“ უერთდება, მისი ერთ-ერთი წევრი **მამუკა გამყრელიძე** ნაციონალებს ორ კითხვას უსვამს: **„ივერია“ ამ აქციაში მონაწილეობას არ მიიღებს. ძალიან ცუდია, რომ საპარლამენტო უმრავლესობამ უმცირესობა აიძულა, ქუჩაში გამოსულიყო, თუმცა ამ მოთხოვნის გაჟღერება ახლა არასწორად მიმაჩნია. ვფიქრობ, ახლა ის ვითარება არაა, რაც ქვეყანაში 2012 წელს იყო. ის ხალხი, ვინც ნელ-ნელა „ოცნებისა“ და ივანიშვილის მიმართ ხიბლს კარგავს, არ უნდა დააფრთხონ. პირიქით, საშუალება უნდა მისცენ, მშვიდად აირჩიონ, რომელი ძალა მოსწონთ... ორი კითხვა მიჩნდება: 1. მთავრობის გადადგომას რომ ითხოვენ, გადადგება?! ცხადია, არა და რა გამოდის, ხალხს რევოლუციისკენ მოუწოდებენ? 2. თუ მთავრობა გადადგა, რამე მექანიზმი გვაქვს, ვადამდელი არჩევნები თავიდან ავიცილოთ? — არა! ვადამდელი არჩევნების წინააღმდეგი ვარ, რადგან 2016 წელს ხალხი უკვე ჩამოყალიბებული იქნება და ეს ხელოვნური პროცესი თუ „პრესინგი“ საერთოდ არაა საჭირო“.**

21 მარტს დაანონსებულ აქციას არც დანარჩენი პარტიები — „ახლები“, „რეფორმატორები“, გოჩა ჯოჯუას ქრისტიან-დემოკრატები, კახა კუკავას „თავისუფალი საქართველო“ უერთდებიან,. მოკლედ, რასაც უნდა აპირებდეს ყოფილი ხელისუფლება — მეორე „ვარდების რევოლუციას“, „მეორე მაიდანს“ თუ რიგით აქციას აქციისთვის, ფაქტია: დანარჩენმა ოპოზიციამ კიდევ ერთხელ გარიყა, თუმცა ერთი უსიამოვნო ფაქტი, ალბათ, „ოცნებისთვისაც“ გამოიკვეთა — პოლიტიკური სპექტრისთვის ნაციონალების მიერ ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნაა მიუღებელი და არა თავად ხელისუფლების გადადგომა.

**ვერსიანიუსი**

## გამოძალვისთვის ოთხი პირი დააკავეს



შსს-ს დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს მეორე განყოფილების თანამშრომლებმა, მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, დანაშაულებრივი ჯგუფის ოთხი წევრი: 1971 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი არჩილ ა, 1982 წელს დაბადებული, წარსულში ორჯერ ნასამართლევი ბექა ა, 1991 წელს დაბადებული ლაშა ჟ. და 1975 წელს დაბადებული კობა მ. გამოძალვის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები მიმდინარე წლის თებერვალში მოქალაქე ანატოლი მ-ს გამოგონილი სახელებით გაეცნენ, რამდენჯერმე შეხვდნენ და ძალადობის მუქარით, თავიანთი ახლობლის ვითომდა ვალი - 1000 აშშ დოლარი მოსთხოვეს. მათ ანატოლი მ-ს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, მოქალაქეს სიცოცხლის მოსპობით დაემუქრნენ.

დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს თანამშრომლებმა დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები კომპლექსური ღონისძიებების შედეგად დააკავეს.

გამოძიება ჯგუფურად გამოძალვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

*„ვერსიანიუსი“*

პატიმარი №0578

# კაიბიჭის ბოზური „შრამი“

## ივა, გოგი და „რუჩნოი ტორმუზი“ — „სხაღნიაკი“ ორთაჭალის ციხეში



კრიმინალურ სამყაროს თავის წესები და დაუწერელი კანონები აქვს. გარდა იმისა, რომ პატიმრებს თავიანთი სალაპარაკო ენა აქვთ და შორ მანძილზე ლაპარაკობენ, არის კიდევ რამდენიმე ნიშანი, რითიც ისინი ერთმანეთს ასხვავებენ. ყველაზე საინტერესო და გამორჩეული ის იარებია, რომლებსაც პატიმრებს დამლად ასვამენ. დიახ, დამლად, რადგან სხვა სახელს ამას, უბრალოდ, ვერ დაარქმევ...

ადრე, ვიდრე ზონებში „კანონიერი ქურდები“ იყვნენ, არასწორი საქციელის ჩამდენ პატიმრებს ლოყაზე დანას უსვამდნენ. ლოყაზე ნაიარევი იმას ნიშნავდა, რომ პატიმარი ნაბოზვარი იყო და მას ყველა ცნობდა. მართალია, ვინმეს შესაძლოა, ლოყაზე ბავშვობის „შრამი“ ჰქონოდა, მაგრამ ესეც არ იყო რთული გასარკვევი. ყოფილა შემთხვევები, როცა პატიმრებისთვის დანის დასმის ნაცვლად, ცხვირზე ტუშით მსხვილი წერტილი გაუკეთებიათ. მაშინ ლაზერი არ იყო და „ნაკოლკას“ ასე ადვილად ვერ გააქრობდი. თუ „ბოზური“ წერტილის წაშლა გსურდა, ცხვირის ნაწილი უნდა მოგეჭრა, თუ არადა, მთელი ცხოვრება იმ წერტილით უნდა გევლო, რომელიც ყველა კრიმინალთან შენს სტატუსსა და ვინაობას ისე მარტივად გასცემდა, როგორც — პასპორტი...

რუსთავის №17 ზონაზე პატიმრების ახალ ნაკადს ერთი პატიმარი გამოეყო, პლაცზე მდგომი არესტანტები დაათვალიერა და რატომღაც №0578 აირჩია, მივიდა და მშვიდად ჰკითხა: „მაყურებლები რომელ კამერაში სხედან?!“

№0578-მა ყურადღებით შეათვალიერა ახლადმოსული, ლოყაზე გრძივი ნაიარევი დააფიქსირა და მშვიდად უთხრა: „არ ვიცი, მეც ახალი მოსული ვარ, პეხოტა ვარ, მაყურებლებთან საქმე არ მაქვს და ამიტომ, ვერაფერს გეტყვი“.

ახლადმოსული თვალებში ჩააშტერდა №0578-ს, მერე, რაც შეიძლებოდა, მშვიდად უთხრა: „მე ივა ვარ და მაყურებლების ნახვა მინდა“.

„რომელი ივა? კუზანოვი? ისე, კი გჭირდება კუზანოვი პლასტიკური ოპერაციისთვის, ნაიარევს გაგიქრობს. არ ვიცი-მეთქი, გასაგებად არ გითხარი?!“, — აშკარა ირონიით და სიბრაზით მიუგო №0578-მა.

„პეხოტა ხარ, არა? და ჩემს ლოყაზე შრამი დაინახე და მაყურებლების კამერას იმიტომ არ მასწავლი, ხო? ნაბოზვარი გგონივარ, არა? და მაინც, რომ გავიგებ და სხვა რომ მეტყვის, ხომ ხვდები მაგას? საქმე მაქვს აუცილებელი, რეზბალნიციდან მოვდივარ, ქურდების მალიავა მომაქვს“, — უთხრა ივამ.

№0578-მა კიდევ ერთხელ შეათვალიერა ივა, მერე გვერდით მდგომ პატიმარს თავი დაუქნია და ისიც მაშინვე იქ გაჩნდა.

„იცნობ ამას?!“ — ჰკითხა მოსულს.

„არა, რატომ უნდა ვიცნობდე?!“

„რა ვიცი, ივა მქვიაო, მაყურებლებთან ქურდებმა მალიავა გამომატანესო... სახეზე ვაკვირდები და სულ სხვა რამეს მეუბნება ამის სიფათი“, — აუხსნა №0578-მა.

„ივა?! ივა გამიგია... მაყურებლები მეორე კამერაში არიან, პირველშიც, წავიდეთ ძმაო, წავიდეთ“, — პატიმარი კორპუსისკენ დაიძრა.

„ოე, მაიცა... შენ ამ ტიპზე ატვეჩაი ხარ, მაყურებლებთან რომ მიგყავს ეგრევე? გარანტია გაქვს, მალიავას რომ დააძრობს, ბადრაგი არ დაგვადგება და მაგ მალიავას გადაყლაპვა არ მოუწევს ვინმეს?“, — გააჩერა №0578-მა ორივე.

„კი, ატვეჩაი ვარ“, — ჩუმად თქვა პატიმარმა და ივას მაყურებლების კამერისკენ გაუძღვა.

№0578 გარეთ დარჩა, ზონაზე შემოსასვლელ კარს დააკვირდა და როცა დარწმუნდა, რომ რეჟიმის ხალხი არ შემოვიდოდა, მაყურებლების კამერისკენ წავიდა. იქ კი საოცარი სურათი დახვდა: მაყურებლებს ივა შუაში ჩაესვათ, მხარზე ხელებს უტყაპუნებდნენ, თბილად ესაუბრებოდნენ და იცინოდნენ. როგორც კი ივამ №0578 დაინახა, მაყურებლებს ჰკითხა: „ეს ვინ არის?!“

„ჩვენი ძმაა. რა ხდება, გაიცანი უკვე?!“ — გაეღიმა მაყურებელს.

„აფთარივით იდგა კართან, თქვენამდე არ მიშვებდა, ნაბოზვარი ვეგონე ამ შრამის გამო. ამან მიშველა, თორემ ახლაც იქ ვიქნებოდი“, — გაეცინა ივას.

„ხედავ, რა მაგარ ტიპად გაგზარდეთ? უკვე შეგიძლია,კაი ბიჭობაზე განაცხადო პრეტენზია“, — გაეცინათ მაყურებლებს.

„კაიბიჭები თქვენც მეყოფით, ის ამიხსენით, ეს ვინ არის და რატომ ეფერებით ასე?“ — იკითხა №0578-მა.

„ესეც ჩვენი ძმაა, მაგარი ძმა, მგელი ძმა. ტარასას ქსივა მოიტანა, მშვიდობით მოიტანა. კარგია, რომ ეს იყო რეზბალნიცაზე, თორემ ქსივის წამომღებს ვერ ნახავდა ტარასა“, — გაეღიმათ მაყურებლებს.

„და ის შრამი სილამაზისთვის აქვს თუ ბავშვობისაა?!“ — არ გაჩერდა №0578.

„არა, ეგ შრამი ქურდმა დაადო“, — გააგრძელა მაყურებელმა.

„ყოფილმა ქურდმა“, — შეუსწორა ივამ.

„და ვინმე ამიხსნის, აქ რა ხდება?!“ — გაოცდა №0578.

„დღეს დაღლილია, ამოასუნთქე, ხვალიდან კი შენს ხელში არ არის?!“ — გაეცინათ მაყურებლებს, მაგრამ ახლა ივა დაიბნა.

„პროკურორს და გამომძიებელს უფრო ადვილად მოიცილებ, ვიდრე ამას. არ მოისვენებს, ვიდრე შენს ისტორიას არ მოგაყოლებს და გირჩევ, არ გაჯიუტდე, თავისას მაინც გაიტანს. მოკლედ, აქ ახალი თუ მოდის საინტერესო ისტორიით, ამასთან საუბარი თავანივით აქვს, რა, ჩასაბარებელი,“ — აუხსნეს მაყურებლებმა.

„და რად გინდა ეს ისტორიები, წიგნს ხომ არ წერ?!“ — გაეცინა ივას.

„არა, მაგრამ მგონია, რომ დავწერ. ჰო, სახელს შეგიცვლი, ნუ გეშინია“, — გაუღიმა №0578-მა.

„ჯერ ერთი, მე არაფრის და არავისი მეშინია, მეორეც, რამდენიც უნდა ცვალო სახელი, ჩემი ისტორია ისეთი გახმაურებულია, ყველა მიხვდება, ვისზეა საუბარი“, — თქვა ივამ.

„არცთუ გახმაურებული. მე არც ივა გამიგია, არც — შენი ისტორია“, — ისევ გაუღიმა №0578-მა.

„ჰო, მაგრამ შენ კრიმინალი არ ხარ და ზოგადად, უკვე ვიცი, ვინც ხარ და შენი ისტორიაც ვიცი“, — უპასუხა ივამ.

„ჰოდა, ხომ ხედავ, შენზე არანაკლებ პოპულარული ვყოფილვარ და შენი ისტორიით როდის განმანათლებ?!“ — დაზუსტება სთხოვა №0578-მა.

„მოვიცლით მაგისთვის, გპირდები“, — უთხრა ივამ. კამერიდან გასულმა №0578-მა კი მხოლოდ ეს თქვა: „გახსოვდეს, კაიბიჭის სიტყვა თავანია და ნუ გადადებ მაგ საქმეს“.

ორიოდე კვირის შემდეგ, ივამ, როგორც იქნა, მოიცალა. მანამდე თბილისის რეგიონის მაყურებლობა ჩააბარეს და არეულ-დარეული საქმეები მოაწესრიგა, ყველაფერი დაალაგა და შეიძლება ითქვას, კრიმინალურ სამყაროში არსებული წესების ცოდნით ყველა გააოცა. ასე იყო თუ ისე, №0578-ს მაინც ვერ ასცდა.

„აბა, დაიწყე შენი და შენი ნაიარევის ამბავი. ყურმოკვრით რაღაცები გავიგე, მაგრამ ხომ იცი, პირველი წყარო მაინც სულ სხვაა“, — გაუღიმა №0578-მა.

„რაღა დავიწყო... ბავშვობიდანვე ქუჩური ცხოვრებით ვცხოვრობდი, კაი ბიჭი ვიყავი და დღემდე ვარ, ქურდობა მინდოდა და დღემდე მინდა. ჰოდა, ერთხელ, უბანში, ვიღაც სირების სასტავს დავეტაკე — ჩვენი უბნიდან მანქანას იპარავდნენ, ჩემი ახლობლის იყო. არ გინდათ-მეთქი, ღამის სამ საათზე სამ მუტრუკს კაჩაობა დავუწყე, მაგრად მცემეს, მაგრამ მანქანა ვერ წაიყვანეს, პატრონები გამოცვივდნენ ხმაურზე. მეორე დღეს, ჩემს სასტავთან ერთად, ვნახე და სამივეს უკანალში დანა დავარტყი, არ მოიქცნენ სწორად და იმიტომ. ჰოდა, რომ მეგონა, ყველაფერი მოგვარდა-მეთქი, ორთაჭალის რეზბალნიცაზე დამიბარეს ქურდებთან. სიმართლე გითხრა, გამიხარდა იმიტომ, რომ ქურდებთან ერთად ყოფნა და ცხოვრება მინდოდა სულ. ამიტომ, თამამად წავედი. მარტო ერთი ქურდი დამხვდა, დანარჩენები, რაღაც შიდაარეულობა იყო და, იმას აგვარებდნენ. იმ ქურდმა მომაყოლა, რა და როგორ იყო და უცებ, შე ნაბოზვარო, კაიბიჭებს ქურდობაში ხელი როგორ შეუშალეო და დანა დამისვა. ვერაფერი მოვასწარი, ვერაფერი მოვახერხე. სისხლი თქრიალით წამომივიდა. რომ დამერტყა, ქურდზე ხელი აწიაო, იტყოდნენ და ცოცხლად გამატყავებდნენ. წამოვედი სახლში ბოზური შრამით და მეგონა, თავზე დამემხო ყველაფერი. სახლში რამდენიმე დღე გავატარე, მოვიშუშე ჭრილობა და ბევრი არ მიფიქრია, გოგის დავადექი. კი იცი შენ, გოგი ვინც არის და რა სიტყვაც ეთქმის. მივედი, ავუხსენი, ასე და ასე იყო-მეთქი. ის ვერ ვუთხარი თავიდან, დანა დამისვა-მეთქი, მაგრამ რა თქმა უნდოდა, ჭრილობა ბოლომდე მოშუშებული არც იყო. ყურადღებით მომისმინა, მერე მშვიდად მკითხა, ლოყაზე რა გჭირსო და რა უნდა მეთქვა? დანა დამისვა და ნაბოზვარი მიძახა-მეთქი. გოგის სიმშვიდეზე ლეგენდები დადის, მაგრამ თვალსა და ხელს შუა გამიგიჟდა კაცი. რაო? — ისე იღრიალა, შევხტი. იარაზე ხელი მომისვა, მერე თვალებში ჩამხედა და მკითხა: მართლა იმან ქნა ეს საქმეო და როცა დავუდასტურე, სავარძელში გადაწვა. სულ 30 წამი იფიქრა, ალბათ და მერე მკითხა, რას აპირებო? რას ვაპირებ და, თქვენთან მოვედი სამართლის საძიებლად და თქვენი ნებისმიერი გადაწყვეტილება ჩემთვის კანონი იქნება-თქო. გამიღიმა და ის მითხრა, რასაც ვერასდროს ვიფიქრებდი. წადი ახლა, ბაზრობაზე, დაშლილებში, საბჭოთა მანქანის „რუჩნოი ტორმუზი“ ექნებათ, ის მომიტანე, ოღონდ მთელი მოწყობილობა კი არა, აი, ის, სიჩქარეების კოლოფთან რომ არის ამოსაწევი „რუჩკა“, ეგ მინდა მარტოო.

წამოვედი გაოგნებული, ბაზრობაზე ვერ ვნახე, წავედი, მოვიპარე იმ ღამით და მეორე დღეს მივუტანე. ყურადღებით შეათვალიერა და მითხრა, კარგია, ახლა ეს წაიღე და ორთაჭალაში იმ ქურდს მიუტანე, რომ გკითხავს, რა არისო, უთხარი, გოგიმ გამომატანა-თქო. მეტი არაფერი უთხრა, უკან წამოდიო. კინაღამ გული გამისკდა, იქ რომ დამინახავენ, ვიდრე რამის თქმას მოვასწრებ, მომკლავენ-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ გოგის როგორ ვეტყოდი ამას და ორთაჭალის ციხეში წავედი. მაყუთი გავმაზე და შემიშვეს. ავედი ქურდების კამერაში და ეს „რუჩნოი ტორმუზი“ იმ ქურდს დავუდე ნარზე. დანარჩენმა ქურდებმა გაოცებისგან პირი დააღეს, ყველა ფეხზე წამოდგა და ამან კიდევ დანა დააძრო ბალიშიდან. სწორედ ამ დროს ვთქვი, ეს შენთან გოგიმ გამომატანა-მეთქი. როგორც ადგნენ ის ქურდები, ისე დასხდნენ ნარზე, ამან დანა დამალა და მხოლოდ ეს იკითხა, ვინ გოგიმო. მშვიდად ვუთხარი, მე მხოლოდ ერთი გოგი ვიცი და იმან-მეთქი და წამოვედი. საღამოს უკვე გოგი თავად მივიდა ორთაჭალაში და იმავე საღამოს იმ ქურდმა ქურდების კამერა დატოვა. სულ ეს იყო. შრამი კი დამრჩა, მაგრამ კაიბიჭი ვარ, ძმაო“, — ღიმილით დაასრულა ივამ.

„ჰო, გასაგებია, ისიც გასაგებია, ვაჟკაცს იარა რომ ამშვენებს, მაგრამ ეგებ, შენი სეხნია მაინც ნახო, აქედან რომ გახვალ, გაგალამაზებს“, — ღიმილით ურჩია №0578-მა.

ვერსიანიუსი

## საპატრიარქო ქალების მიმართ ძალადობაზე განცხადებას ავრცელებს



ეკლესიისთვის მიუღებელია ქალის მიმართ გამოვლენილი ძალადობა ისევე, როგორც მიუღებელია ძალადობა ზოგადად ადამიანის მიმართ, — ნათქვამია საქართველოს საპატრიარქოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

**„ჩვენს საზოგადოებაში აქტუალურია დისკუსია ქალის როლსა და მნიშვნელობაზე, დღეს მრავალი უფლებადამცველი ორგანიზაცია საუბრობს ქალისა და მამაკაცის უფლებებზე მაშინ, როდესაც, ჯერ კიდევ 2000 წლის წინ, ქრისტიანულმა სწავლებამ ეს დამოკიდებულება გამორჩეულად ამაღლებულად წარმოაჩინა.**

**ქრისტიანულ სარწმუნოებაში ქალი უმაღლეს საფეხურზეა აყვანილი და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახით უპირველეს წმინდანად აღიარებული.**

**ქრისტიანული ოჯახიც განსაკუთრებულია. იგი მცირე ეკლესიადაა გამოცხადებული და მეუღლეებს შორის ურთიერთობა ქრისტესა და ეკლესიის ურთიერთობის სიმბოლოდაა წარმოჩენილი. ამდენად, ამ წიაღში რაიმე ძალადობა თავიდანვეა გამორიცხული.**

**პავლე მოციქული ბრძანებს:**

**„ქმარმა ჯეროვანი პატივი უნდა მიაგოს ცოლს, აგრეთვე ცოლმა — ქმარს. ცოლი კი არ უფლებს თავის სხეულზე, არამედ ქმარი და ქმარი კი არ უფლებს თავის სხეულზე, არამედ ცოლი (I.კორ.7 3-4)“;**

**მართალია, ქრისტიანობამ თანაბარი უფლებები მიანიჭა მეუღლეებს, მაგრამ იერარქიაც განაჩინა; ოღონდ იერარქიული ურთიერთობა სიყვარულის აუცილებელი პირობით განამწესა: ქმარი თავია ცოლისა, ისევე როგორც ქრისტე თავია ეკლესიისა.**

**„მამაკაცებო, გიყვარდეთ თქვენი ცოლები ისევე, როგორც ქრისტემ შეიყვარა ეკლესია და თავი გასწირა მისთვის (ეფ. 5,25)“;**

**ამდენად, ბუნებრივია, რომ ეკლესიისთვის მიუღებელია ქალის მიმართ გამოვლენილი ძალადობა ისევე, როგორც მიუღებელია ძალადობა ზოგადად ადამიანის მიმართ“,** — ნათქვამია განცხადებაში.

## სამართალდამცავებმა 27 აბი მეტადონი ამოიღეს

შსს-ს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთისა და სამტრედიის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1970 წელს დაბადებული ხვიჩა ბ. დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. სამართალდამცველებმა ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას 27 აბი ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით, 0,266546 გრ მეტადონს შეიცავს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-2 ნაწილით „ა“ ქვეპუნქტით).

*„ვერსიანიუსი“*



# მკვლელი დიეტები

## რა ზიანს აყენებს ორგანიზმს ამა თუ იმ პროდუქტის აკრძალვა

თამარ ლომსაძე
599-20-94-01

ბოლო დროს საკმაოდ აქტუალური გახდა სხვადასხვა დიეტა — უცხიმო, ცილოვანი, ასეთი, ისეთი... მათ, ვისაც წონის დაკლება სურთ, საკმაოდ მრავალფეროვანი არჩევანი აქვთ, მაგრამ ცოტა თუ უფიქრდება, რა უარყოფითი შედეგები შეიძლება გამოიწვიოს ამა თუ იმ საკვების შეზღუდვამ.

ამერიკელმა მეცნიერებმა სწორედ დიეტის უკუეფექტები შეისწავლეს და საკმაოდ შემაშფოთებელი დასკვნაც დადეს.

დღეს მსოფლიოში მეტად პოპულარულია ფრანგი დიეტოლოგის — პიერ დუნკანის დიეტა, რომელიც ოთხი ეტაპისგან შედგება — შეტევა, რა დროსაც 4-5 დღის განმავლობაში მხოლოდ ცილოვანი პროდუქტი უნდა მივირთვათ, ჩანაცვლება ბოსტნეულით, დაკლებული წონის სტაბილიზება და შენარჩუნება... სხვათა შორის, ბოლო ეტაპზე ავტორი გვირჩევს, წყლის მაგივრად ლაითი კოლა დავლიოთ ასპარტამთან (საკმაოდ მავნე შაქრის შემცვლელი) ერთად. ამ დიეტის დაცვა, რა თქმა უნდა, ადვილი არ არის, სამაგიეროდ, შედეგი მოლოდინს აღემატება — ზედმეტი წონა თვალსა და ხელს შუა სადღაც ქრება, მაგრამ... მაგრამ რა მდგომარეობაშია ამ დროს გული და სისხლძარღვები? — ეს ის კითხვაა, რომელზე დაფიქრებაც უდავოდ ღირს.

რეალურად, დუნკანის დიეტაში ახალი არაფერია — ესაა ცილოვანი დიეტა, რომელიც, ჭარბი წონის მოშორებასთან ერთად, რიგ პრობლემებს იწვევს: თმის ცვენა, ფრჩხილების აფრცქვნა, დაღლილობა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, მხედველობის დაქვეითება, ტკივილი მუცლის არეში, პრობლემები კუჭქვეშა ჯირკვალზე და თირკმლის ფუნქციის მოშლა...

თავად დიეტოლოგი გახდომის მსურველებს ურჩევს, თირკმლის პრობლემების თავიდან ასაცილებლად, ბევრი სითხე დალიონ, მათ შორის „კოლა ლაითი"(?), გამორიცხონ ყველანაირი ცხიმი და მიიღონ ჭარბი რაოდენობით ცილოვანი პროდუქტი, მაგრამ ეს უკანასკნელი ორგანიზმის ინტოქსიკაციას, ათეროსკლეროზს, თირკმლის დაავადებებსა და კიბოს რომ იწვევს, ამაზე დიეტის ავტორი არაფერს ამბობს. ყველაზე მსუბუქი უკუშედეგი, რასაც დუნკანის დიეტა გვიქადის, დეპრესიაა (ნახშირწყლების გარეშე ორგანიზმი ვერ გამოიმუშავებს ბედნიერების ჰორმონს — სეროტონინს). ამ ფაქტორების გათვალისწინებით, სპეციალისტები აცხადებენ, რომ დუნკანის დიეტა ორ კვირაზე მეტ ხანს არ უნდა გაგრძელდეს და ისიც მხოლოდ ექიმის მკაცრი მეთვალყურეობით.

არანაკლებ პოპულარულია მონოდიეტები — ზოგიერთი ადამიანი უარს ამბობს თევზსა და ხორცზე, მხოლოდ ხილითა და ბოსტნეულით იკვებება; ზოგის საკვები, თვეების განმავლობაში, კეფირი და წიწიბურაა, ზოგი კი ბრინჯს ანიჭებს უპირატესობას... ასეთ დროს წონა იკლებს, მაგრამ დაკლებულ თითოეულ კილოგრამს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული უამრავი პრობლემა ემატება.

მაგალითად, ატკინსის დიეტა (ნახშირწყლების გარეშე), ორგანიზმს კვების წყაროს გარეშე ტოვებს და ამიტომ დიეტოლოგები მის დაცვას მხოლოდ რამდენიმე დღით გვირჩევენ. ცნობილია, რომ ნახშირწყლების ქრონიკული დეფიციტი სერიოზულ პრობლემებს იწვევს, პირველ რიგში, — ცვლილებებს ფსიქოემოციურ სფეროში, ასევე ქვეითდება მეხსიერება... ასეთი დიეტა კატეგორიულად ეკრძალებათ მოსწავლეებსა და სტუდენტებს, მათ, ვისაც გონებრივი სამუშაოს შესრულება უწევთ, რადგან დეპრესიის შემდეგ არანაკლებ მძიმე, მეორე ეტაპია — ფიზიკური სისუსტე. იმისთვის, რომ დაიკმაყოფილოს ენერგეტიკული შიმშილი, ორგანიზმი იწყებს საკუთარი ცილების წვას.

დიეტისას, თუ ორგანიზმი საჭირო რაოდენობით ცილას არ იღებს, თავისთავად მცირდება კუნთოვანი მასა და მიუხედავად იმისა, რომ ზედმეტი კილოგრამები ქრება, ცხიმების დონე მკვეთრად იმატებს, რაც უამრავ პრობლემას იწვევს. გარდა ამისა, დღე-ღამის განმავლობაში, ადამიანისთვის, მინიმუმ, 20 გრამი ცხიმი აუცილებელია.

მეცნიერები ყველაზე უსაფრთხოდ მიიჩნევენ დიეტას გენოტიპის მიხედვით: მეთოდი მეცნიერულ კვლევებზეა დაფუძნებული და სტენფორდის უნივერსიტეტის სწავლულებს ეკუთვნის. სწორედ მათ აღმოაჩინეს ადამიანის ორგანიზმში ოთხი გენი, რომელიც წონის მატებს უწყობს ხელს. შესაბამისად, თუ საკვები პროდუქტი ამ ფაქტორების გათვალისწინებით შეირჩევა, თავს ნაკლები პრობლემაც იჩენს და სასურველი შედეგიც საკმაოდ მალე დადგება.



# აჭარის მაღალმთიან სოფლებს მოსახლეობა ტოვებს

## ადგილობრივებს სახლები შუახევიჰესის მშენებლობის გამო ენგრევათ?!



გიორგი სირაძე
„ვერსიისთვის" გურიიდან

ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ დიაკონიძეებში ამბობენ, რომ საცხოვრებელ სახლებზე გაჩენილი ბზარები შუახევიჰესის სამშენებლო სამუშაოებს უკავშირდება. ამ მიზეზით, საცხოვრებელი სახლი უკვე სამმა ოჯახმა დატოვა, 14 ოჯახს კი სასმელი წყალი აღარ აქვს. ამბობენ, საცხოვრებელი სახლები მას შემდეგ დაიბზარა, რაც აფეთქებები დაიწყო.

**„დღის პირველი საათი იქნებოდა, სახლი შეზანზარდა. მიწისძვრა მეგონა. სამზარეულოდან ნგრევის ხმა შემომესმა. დავინახე ჩანგრეულ იატაკში თაროები ცვიოდა, სარეცხი მანქანაც რომ არ ჩავარდნილიყო, ჩავებღაუჭე, თურქეთში ნაგროვები ფულით მაქვს ნაყიდი და დამენანა. უცებ მაღალ ხმაზე გაიტკაცუნა, ვიყვირე დამეხმარეთ-მეთქი და გარეთ გამოვვარდი. სარეცხი მანქანა დამიზიანდა, სამზარეულოს ავეჯი დაიმტვრა, მაგრამ არ ვჩივი, მთავარია, გადავრჩი",** — **გვიამბობს** დიასახლისი **მაგული ანანიძე** და დასძენს, რომ **„სახლში ცხოვრება შეუძლებელია". თამაზ ანანიძე** კი თავის გასაჭირს ამგვარად გვიხსნის: **„ხელისუფლებამ მეზობელთან გადამიყვანა და ქირას, 200 ლარს მიხდის. სხვის სახლში როდემდე ვიყო? ეს ჩემი მიწაა, 34 წელია აქ ვცხოვრობ, გლეხი ვარ, თავს მიწაზე შრომით ვირჩენ, შეიძლება სხვისთვის არაფერია ჩემი ხის სახლი, მაგრამ ჩემთვის სასახლე იყო".** ანანიძეების გარდა სახლის მიტოვება სოლომონიძის ხუთსულიან ოჯახსაც მოუწია. თემურ სოლომონიძემ მამაპაპისეული საცხოვრებელი სახლი, ოჯახთან ერთად, ერთი თვის წინ დატოვა და დაახლოებით ერთ კილომეტრში, მიქელაძეების ოჯახში გადაბარგდა, ამ ოჯახსაც ხელისუფლება უხდის საცხოვრებლის ქირას. სოლომონიძეები სახლს დღეში სამჯერ სტუმრობენ — მთავარი მიზეზი ოჯახის მარჩენალი მეწველი ძროხაა, რომლის მოსავლელად თემური, ცოლთან ერთად, ყოველდღე მინიმუმ 5 კილომეტრს გადის.

**თემურ სოლომონიძე: „გვირაბის მშენებლობა დაიწყეს თუ არა, სახლმა ფორმა შეიცვალა, აღარც კარი იხურებოდა, აღარც ფანჯრები. ბოლოს ისე გადაიხარა, შესვლა გვეშინოდა. ყველას მივმართე, ენახათ, რა პირობებში ვცხოვრობდით. კომპანიიდან მოვიდნენ, აპარატი დააყენეს და აფეთქების სიმძლავრე გაზომეს. მაშინ ისეთი დაბალი აფეთქება იყო, ვერც ვიგრძენი. მითხრეს, ეს მათი ბრალი არ იყო და პასუხისმგებლობაც არ აიღეს. შემდეგ გამგეობიდან მოვიდნენ. გვითხრეს, აქ ცხოვრება საშიშია, მსხვერპლი რომ არ გვქონდეს, სხვაგან გადადით, ქირას ჩვენ გადაგიხდითო. წასასვლელი რომ არ მქონდა, სამ მცირეწლოვან ბავშვთან ერთად მეზობელთან გადავედი. სახლი, სადაც ახლა ვცხოვრობთ, პატარაა, ორ ოჯახს არ გვყოფნის. არ ვიცი, რამდენ ხანს ვიქნებით ასე. ჩვენ გადავედით, მაგრამ საქონელი სად წამეყვანა?".**

ბატონი თემურის ყოფილ საცხოვრებელ სახლამდე, სოფლის გზაზე, თამაზ სოლომონიძის ოჯახი ცხოვრობს. მათაც პრობლემები შეექმნათ, როცა სოფელში აფეთქებები დაიწყეს. თამაზ სოლომონიძე ამბობს, რომ სახლის საძირკველი მოირყა და იძულებულია, სასმელი წყალი კასრებით ზიდოს, რადგან წყალი შეუწყდა: **„ერთ თვეზე მეტია, აღარ გვაქვს წყალი. წყალი ბოსელშიც მჭირდება — 5 ძროხა მყავს და მხოლოდ მათთვის, მინიმუმ 10 სათლი უნდა მოვზიდო. წყალი სახლსქვემოთ, 300 მეტრში გამოდის, მაგრამ იქიდან ვერ ამოიყვან. კომპანიას მივმართე, მოსულიყვნენ და ენახათ, რა მდგომარეობაში ვიყავით. მოვიდნენ, შეამოწმეს, წყალზე პასუხისმგებლობა აიღეს, მოვიყვანთო, გვითხრეს, თუმცა დღემდე ველოდებით".**

**თემურ ანანიძე,** რომელიც ადრე სოფლის რწმუნებული იყო, სოფლის გეოლოგიურ მდგრადობაზე საუბრობს: **„გვირაბის მშენებლობისას ანანიძეების უბანში მცხოვრებ 14 ოჯახს წყალი შეგვიწყდა. სოფლის მეორე ნაწილში დროებით მცხოვრები ოჯახებიდან წყალი გადმოვიყვანეთ, მაგრამ მერე რა ვქნათ, როცა გაზაფხულზე, ხვნა-თესვისას, მაცხოვრებლები სოფელს დაუბრუნდებიან? წყალი, რომლითაც ვსარგებლობდით, ადგილზე გამოდიოდა. იქვე ავზი გვქონდა მოწყობილი, სასმელადაც და სარწყავადაც ვიყენებდით, მაგრამ ახლა წყალი დაიკარგა. მოსახლეობამ გვირაბის მშენებლობის დაწყებამდე მშენებელ კომპანია „აჭარისწყალ ჯორჯიასთან" მემორანდუმი გავაფორმეთ, რომლის თანახმად, კომპანია ვალდებულია, წყლის პრობლემა მოგვიგვაროს".**

ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებელი **ბესიკ ბაუჩაძე** აცხადებს, რომ კომპანია სოფელში განვითარებულ პროცესებს გვირაბის მშენებლობას არ უკავშირებს. გამგებლის თქმით, გეოლოგები შეისწავლიან ვითარებას, მანამდე კი დაზარალებული ოჯახების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობას მუნიციპალიტეტი იღებს: **„კომპანიას აქვს დოკუმენტები, სადაც წერია, რომ სოფელში განვითარებული პროცესები ჰესების მშენებლობას არ უკავშირდება. თუ გეოლოგიური დასკვნით გამოვლინდება, რომ ეს ბუნებრივი პროცესია, სახელმწიფო აიღებს ვალდებულებას უსაფრთხო გარემო შეუქმნას ამ ორ ოჯახს. თუ პროცესი დაუკავშირდება ჰესების მშენებლობას, კომპანია ვალდებულია სასწრაფოდ მოახდინოს რეაგირება**".

სოფელ დიაკონიძეებში განვითარებულ პროცესებთან დაკავშირებით „აჭარისწყალი ჯორჯიას" პოზიციის გაგება ჯერჯერობით არ ხერხდება.



## ისლამისტებმა ერაყის ისტორიულ ქალაქი ჰათრა გაანადგურეს



„ისლამური სახელმწიფოს" მებრძოლებმა, ამჯერად, ერაყის ისტორიული ქალაქის, ჰათრას განადგურება დაიწყეს.

ქალაქი ჰათრა 2 000 წლის წინ დაარსდა და იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაშია შესული. ისლამისტი რადიკალების მხრიდან ეს კულტურული მემკვიდრეობის განადგურების პირველი შემთხვევა არ არის. რამდენიმე დღის წინ მათ ბულდოზერებით გადაუარეს უძველეს ქალაქ ნიმრუდსაც. გასულ კვირას კი ექსტრემისტებმა ქალაქ მოსულში უძველესი არტეფაქტები გაანადგურეს.

იუნესკო მომხდარის გამო შეშფოთებას გამოთქვამს და რელიგიურ და პოლიტიკურ ლიდერებს კულტურული მემკვიდრეობის გადასარჩენად ქმედითი ნაბიჯების გადადგმისკენ მოუწოდებს.

***„ინტერპრესნიუსი"***



1. თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა
2. ცირკის მსახიობი, კლოუნი
3. მრავალკუთხედის გვერდების სიგრ. ჯამი
4. ბათუს ცოლი „გამზრდელში“
5. ბულგარეთის ფულის ერთეული
6. ქალაქი ბელგიაში
7. „წმიდა ომი“ ისლამში
8. კათოლიკური წირვა
9. ამიერკავკასიის ქვეყანა
10. ცისარტყელას ქალღმერთი
11. ერთუჯრედიანი ცხოველი
12. ძველებური საწერი მასალა
13. ბურთის გასვლა მოედნიდან
14. გოგოლის კომედია
15. მარადიურია
16. ტოკიოს ძველი სახელწოდება
17. იტალიური კინოს ლეგენდა ... მანიანი
18. შვიდის მომდევნო რიცხვი
19. ქალაქი რუსეთში
20. მონღოლ. ტერიტორ. ადმინისტრ. ერთეული
21. იგივეა, რაც ფირნიში
22. უძველ. სახელმწიფო იტალიის ტერიტორ.
23. ძალიან დიდი ტალღა ოკეანეში
24. კაბოვერდეს დედაქალაქი
25. ქალაქი საქართველოში, იმერეთის მხარეში
26. ფეთქებ. ნივთიერება
27. დეკორატ. ყვავილი
28. შეწყვეტილი სტრიქონი ტექსტში
29. გვადი ბიგვას ცოლის სახელი
30. თხელი ტალახი
31. იგივე მერიქიფე
32. დანტე ალიგიერის სატრფო
33. ერთეულთა საერთაშ. სისტემა
34. შხამიანი გომბეშო
35. ბევრ ცხიმში შემწვარი თევზი
36. ქართული ანბანის 32-ე ასო
37. ლეო დელიბის საბავშვო ბალეტი
38. ადამიანის საცხოვრებელი
39. სამხრეთ ამერიკული სირაქლემა
40. კავიანი საქსოვი ჩხირი
41. რძის პროდუქტი
42. და ვინჩის ერთ-ერთი მადონა
43. საკრედ. დაწესებულ.
44. მდინ. პარიზში
45. წიგნის მუყაოს გარეკანი
46. წყვილი ერთიანი კამათელზე
47. უბრალო, მარტივი
48. პიტალო კლდე
49. საფქვილე ყუთი წისქვილში
50. ჰოლანდიური გავრების წინსართი
51. ეგვიპტის ნახევარკუნძული
52. დიდი ჩაქუჩი
53. მაია წყნეთელის მამაკაცური სახელი
54. კუნძული პარიზში
55. ძველი ასურეთის დედაქალაქი
56. მსახიობი ... თურმანი
57. დაწერილი ფურცლის ცალი კიდე
58. მზის ამოსვლა
59. ქართ. ტაძარი ისტორიულ ტაოში
60. ბანქოს ფიგურა
61. ინკების ქალაქი ...-პიქჩუ
62. თევზის ძვალი
63. აშუღი ... გურჯი
64. ჯუჯა კამეჩი
65. მუსიკალ. გამის III ნოტი
66. საოჯახო ელექტროხელსაწყო
67. ცნობილი ნორვეგიელი დრამატურგი
68. ებრაელთა რეპატრიაცია ისტორიულ სამშობლოში

# დიასახლისის შრომა შეაფასეს



ამერიკელოი სწავლულები შეეცადენ დაედგინათ, რა ენერგიას ხარჯავს დიასახლისი დღის განმავლობაში. აღმოჩნდა, რომ ქალებს საოჯახო საქმე იმდენივე ენერგიას ართმევს, რამდენსაც ფეხბურთელებს ზედიზედ ორი მატჩი, ველომრბოლელებს — 80-კილომეტრიანი დისტანცია და ჩოგბურთელებს — 2-საათიანი შეხვედრა. დედას ბავშვის მოვლა კი იმდენივე ოფლისღვრა უჯდება, რაც მორაგბეს მატჩის ნახევარი. მეცნიერებმა ისიც გამოთვალეს, რომ აქტიური რვასაათიანი სამუშაო დღის შემდეგ, დიასახლისი 1582 კალორიას წვავს.

# მარწყვი ატმის გემოთი



იაპონელი სპეციალისტები მუშაობენ იმაზე, რომ საკუთარი ნახელავით მსოფლიო კიდევ ერთხელ გააოცონ. ამჯერად ამომავალი მზის ქვეყანაში ახალი მარწყვი გამოიყვანეს, რომელსაც ატმის გემო აქვს. გარეგნულად ეს ხილი უფრო ღია ფერისაა, ვიდრე ჩვეულებრივი, შიგნიდან კი პრაქტიკულად თეთრია. როგორ მიიღწევა უცხო გემოს ეფექტი, უცნობია, აი, მისი ღირებულება კი შთამბეჭდავია — ერთი ცალი ასეთი მარწყვის ფასი 11 დოლარია. იაპონური ბაზრის კიდევ ერთი სიახლე კვერცხია, რომელსაც იპონური ლიმონის, იუძუს არომატი აქვს. აქ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ არავითარ ქიმიას ადგილი არ აქვს. საიდუმლო ქათმების რაციონშია, რომელშიც ეს ლიმონიც შედის. 10 ცალი ასეთი კვერცხი კი 4 დოლარზე მეტი ღირს.

# უნგრელები სოფელს აქირავებენ

უნგრეთის დასავლეთით მდებარე სოფელ მარგიერის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, დასახლებული პუნქტი შაბათ-კვირას გააქირავოს-ხოლმე. დღე-ღამეში 210 ათას ფორინტად (დაახლოებით 780 დოლარი), სოფლის ახალ მფლობელს მერის მოადგილეობასაც პირდებიან. თუკი დასახლების იჯარით აღების მსურველი გამოჩნდება, მას გარემონტებულ სახლში დაასახლებენ. მერის მოადგილეს უფლება ექნება, დროებით სახელი გადაარქვას ქუჩებსა და სხვა გეოგრაფიულ ობიექტებს სოფელში. ახალ მფლობელს ასევე უფლება ექნება გამოიყენოს სხვა ობიქტებიც: ორი ასფალტიანი და ორი მოხრეშილი გზა, გაჩერება, საოფისე შენობა, შვიდი სასტუმრო კოტეჯი, რომელშიც ცხოვრება 39 ადამიანს შეეძლება, სამი სამეურნეო ნაგებობა, ექვსი ცხენი, სამი ცხვარი, ორი ძროხა და ოთხი ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა. სოფელში სულ 26 ადამიანი ცხოვრობს და როგორც მისი ხელისუფლება აცხადებს, ასეთი გადაწყვეტილება ტურიზმისგან შემოსავლის მისაღებად მიიღეს.



# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 9 | 8 | | | | 5 | |
| | 4 | | | 7 | 3 | 2 | | |
| 5 | | 2 | | | 9 | | | 6 |
| | | 7 | | | | | | |
| 3 | 9 | | | | | | 4 | 5 |
| | | | | | | 1 | | |
| 1 | | | 3 | | | 5 | | 8 |
| | | 6 | 4 | 1 | | | 9 | |
| | 5 | | | | 7 | 4 | | |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 7 | | | 1 | 4 | | | |
| | | | 9 | | | | | 4 |
| | | | 7 | 2 | | | | 5 |
| 7 | | 9 | | | | | 1 | |
| | 3 | | | | | | 7 | |
| | 1 | | | | | 5 | | 9 |
| 6 | | | | 7 | 9 | | | |
| 2 | | | | | 6 | | | |
| | | | 2 | 3 | | | 9 | 6 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 3 | | | | | | |
| 5 | 9 | | 7 | 6 | | 3 | | |
| | 6 | | | | 3 | | | |
| | | 6 | | 4 | | | 1 | 8 |
| | 2 | | | | | | 9 | |
| 8 | 4 | | | 2 | | 6 | | |
| | | | 6 | | | | 7 | |
| | | 1 | | 3 | 9 | | 6 | 2 |
| | | | | | | 5 | 4 | |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | | | 6 | 2 | | | 1 | 9 |
| | | 3 | | | 9 | 6 | | |
| | | | 3 | | | 5 | | |
| 3 | | | | 1 | | 8 | | |
| | 1 | | | | | | 6 | |
| | | 5 | | 3 | | | | 4 |
| | | 9 | | | 3 | | | |
| | | 4 | 2 | | | 7 | | |
| 6 | 3 | | | 7 | 8 | | | 5 |



## ოქროს სამკაული დეპრესიას იწვევს

მასალა, რისგანაც სამკაულებია დმზადებული, პირდაპირ აისახება ადამიანის ფსიქოემოციურ ფონზე. როგორც კვლევებმა აჩვენა, ოქროს შეუძლია მის მფლობელში დეპრესია გამოიწვიოს. როგორც ჩანს, ამ ძვირფასი ლითონისგან დამზადებული სამკაული ხელს უწყობს თავის ტვინში მიმდინარე ყველა პროცესის გააქტიურებას, თუმცა, ამავდროულად აფერხებს ნოვთიერებათა ცვლას, შედეგად კი ნეგატიური ემოციები სჭარბობს. სწავლულებმა ამ თემასთან დაკავშირებით კვლევაც ჩაატარეს რამდენიმე ათას ადამიანზე. მათი ნაწილი მუდმივად ოქროს სამკაულებს ატარებდა და როგორც აღმოჩნდა, სწორედ ისინი იყვნენ სტრესების მიმართ უფრო მდგრადები და უფრო სიცოცხლისმოყვარულები, ვინც ოქროს გარეშე დადიოდა. ექსპერტები არ გვირჩევენ, ოქრო გვეკეთოს მთელი დღის განმავლობაში და სამკაულით დავიძინოთ. სამაგიეროდ, თურმე ვერცხლი არ ახდენს ასეთ გავლენას ნერვულ სისტმაზე, პირიქით, სხვა გამოკვლევით დამტკიცდა, რომ ვერცხალი ამშვიდებს და თავისტკივილს ხსნის. მას ასევე ძლიერი ანტიბაქტერიული ეფექტიც აქვს.

## კორეელებს ღალატის უფლება მისცეს



სამხრეთ კორეის უმაღლესმა სასამართლომ გადაწყვიტა, გააუქმოს სისხლის სამართლის სასჯელი მეუღლის ღალატისთვის. მოსამართლეებმა საკუთარი გადაწყვეტილება იმით ახსნეს, რომ სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს მოქალაქეების პირად ცხოვრებაში. მარტო 2008 წლიდან დღემდე ქვეყანაში ღალატისთვის 5,5 ათასი ადამიანია გასამართლებული — სასჯელი ორ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. კანონი, რომელიც დაახლოებით ნახევარი საუკუნის წინ მიიღეს, „ტრადიცული ოჯახური ღირებულბების“ დაცვისკენ მოუწოდებდა. თანაც, კანონს ქალების ულებები უნდა დაეცვა, რომელთაც, მამაკაცებთან შედარებით, უფრო სუსტი სოციალური პოზიციები ეკავათ.

## დალიეთ ყავა და დააყოლეთ... ჭიქა



დიდ ბრიტანეთში, KFC-ის სწრაფი კვების რესტორნებში ყავის გაყიდვები დაიწყეს, რომელიც საჭმელად ვარგის ჭიქებში ისხმება. ახალი ჭურჭელი დამზადებულია უნიკალური ორცხობილებისგან, რომელიც შაქრის ქაღალდშია გახვეული, შემდეგ კი თერმომდგრადი თეთრი შოკოლადით იფარება, რომელზეც კომპანიის ლოგოტიპია დატანილი. აღსანიშნავია, რომ თავიდან ჭიქა მაგარია და მისი ჭამა ცოტა ძნელია, მაგრამ დროთა განმავლობაში დნობას იწყებს. ჭიქა კომპანია The Robin Collective-მ დაამზადა, რომელიც ექსპერიმენტალური ჭურჭლის წარმოებითაა დაკავებული.

## წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 4 | 3 | 1 | 2 | 8 | 5 | 7 | 6 |
| 8 | 1 | 7 | 9 | 6 | 5 | 4 | 3 | 2 |
| 2 | 6 | 5 | 7 | 4 | 3 | 1 | 9 | 8 |
| 7 | 8 | 4 | 6 | 5 | 2 | 9 | 1 | 3 |
| 1 | 5 | 2 | 3 | 9 | 7 | 6 | 8 | 4 |
| 3 | 9 | 6 | 8 | 1 | 4 | 2 | 5 | 7 |
| 6 | 7 | 1 | 2 | 8 | 9 | 3 | 4 | 5 |
| 5 | 3 | 9 | 4 | 7 | 6 | 8 | 2 | 1 |
| 4 | 2 | 8 | 5 | 3 | 1 | 7 | 6 | 9 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 6 | 5 | 2 | 1 | 8 | 4 | 7 | 3 |
| 8 | 3 | 7 | 6 | 9 | 4 | 5 | 2 | 1 |
| 2 | 1 | 4 | 7 | 5 | 3 | 9 | 6 | 8 |
| 7 | 9 | 6 | 4 | 8 | 5 | 3 | 1 | 2 |
| 3 | 8 | 2 | 1 | 7 | 9 | 6 | 5 | 4 |
| 5 | 4 | 1 | 3 | 6 | 2 | 8 | 9 | 7 |
| 6 | 7 | 9 | 8 | 4 | 1 | 2 | 3 | 5 |
| 4 | 5 | 3 | 9 | 2 | 7 | 1 | 8 | 6 |
| 1 | 2 | 8 | 5 | 3 | 6 | 7 | 4 | 9 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 5 | 2 | 1 | 3 | 9 | 8 | 7 | 6 |
| 1 | 9 | 7 | 8 | 6 | 5 | 4 | 2 | 3 |
| 3 | 8 | 6 | 7 | 2 | 4 | 1 | 9 | 5 |
| 6 | 2 | 5 | 9 | 1 | 3 | 7 | 8 | 4 |
| 8 | 1 | 4 | 5 | 7 | 6 | 9 | 3 | 2 |
| 9 | 7 | 3 | 4 | 8 | 2 | 6 | 5 | 1 |
| 2 | 4 | 8 | 3 | 9 | 1 | 5 | 6 | 7 |
| 7 | 6 | 1 | 2 | 5 | 8 | 3 | 4 | 9 |
| 5 | 3 | 9 | 6 | 4 | 7 | 2 | 1 | 8 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 9 | 7 | 8 | 6 | 2 | 1 | 5 | 4 |
| 2 | 1 | 8 | 5 | 9 | 4 | 7 | 6 | 3 |
| 4 | 6 | 5 | 3 | 1 | 7 | 8 | 2 | 9 |
| 8 | 2 | 1 | 4 | 5 | 3 | 9 | 7 | 6 |
| 5 | 7 | 9 | 1 | 2 | 6 | 3 | 4 | 8 |
| 6 | 3 | 4 | 7 | 8 | 9 | 5 | 1 | 2 |
| 7 | 8 | 3 | 2 | 4 | 5 | 6 | 9 | 1 |
| 9 | 5 | 2 | 6 | 3 | 1 | 4 | 8 | 7 |
| 1 | 4 | 6 | 9 | 7 | 8 | 2 | 3 | 5 |

მე-10 გვერდი: 1. დუნსტი; 2. დულსინეა; 3. ნაკრძალი; 4. ტირი; 5. ბროკოლი; 6. სვანეთი; 7. ვერლიბრი; 8. ნოკია; 9. თონე; 10. ქინძი; 11. ნიუკასლი; 12. რძალი; 13. შიიზმი; 14. დრაკონი; 15. ლუიზიანა; 16. თიამინი; 17. თეირანი; 18. იმიტაცია; 19. თალია; 20. ნიამეი; 21. უბე; 22. კირი; 23. ოდენსე; 24. გასიონი; 25. აგნი; 26. იგრიკა; 27. ელი; 28. სეული; 29. ეგზოტიკა; 30. გეიზერი; 31. გეა; 32. ოსპი; 33. ადმა; 34. პინო; 35. იუდა; 36. ნოე; 37. ბუ; 38. ირი; 39. რემიზი; 40. დეკა; 41. აკაი; 42. ზილი; 43. სოს; 44. ცეისი; 45. იუდეა; 46. იონი; 47. აია; 48. ნება; 49. ნინია; 50. სამიტი; 51. კრედო; 52. პალატა; 53. ბზა; 54. როდეო' 55. ტაო; 56. მნე; 57. ტაიბეი; 58. დვაბზუ; 59. პან; 60. ზმა; 61. სი; 62. ნაკიანი; 63. აკა; 64. დრამი; 65. არნო.

მე-12 გვერდი: 1. დილეტანტი; 2. კრედიტი; 3. დომკრატი; 4. ლაურა; 5. ტრაპი; 6. რეპორტაჟი; 7. დილემა; 8. ტოპაზი; 9. ამპულა; 10. კვაწარახი; 11. ლუი; 12. პოლიპი; 13. აზია; 14. იპრიტი; 15. რკალი; 16. ვაი; 17. „ამარკორდი“; 18. რამაზი; 19. ტასია; 20. ჟირაფი; 21. რეტი; 22. პიზა; 23. სატელიტი; 24. კომა; 25. რიწა; 26. ჯაკარტა; 27. ჭრაქი; 28. ოკარინა; 29. ურობილინი; 30. ფირალი; 31. ატა; 32. ჯულიანა მური; 33. ფრაუ; 34. კარე; 35. ლა-სკალა; 36. აკირა; 37. ბრუტო; 38. კალა; 39. პაი; 40. არაქსი; 41. მოხიტო; 42. აპარატი; 43. არაბი; 44. ალო; 45. ასო; 46. ესკორტი; 47. დიანა; 48. ეტი; 49. ოსი; 50. ასაკი; 51. მირიანი; 52. აგასი; 53. კატო; 54. მოსე; 55. ლორია; 56. ნიამეი; 57. სალონი; 58. სოლომონი; 59. გიტარა; 60. მია; 61. სოლ; 62. ბუდიზმი; 63. ფიცი; 64. პასი; 65. კენი; 66. ვაკე; 67. სვე; 68. რენტა; 69. ჟერარ; 70. დოინა; 71. პრიმა; 72. პაპაია; 73. აბო; 74. რაფა; 75. მზია; 76. სიღნაღი; 77. კაშნე; 78. ღაჟო; 79. ნაი; 80. სეირი; 81. სე; 82. მეტისი; 83. იანძი; 84. ზეგ.

## კაცებს მაღაზიაში ყიდულობენ

საფრანგეთის დედაქალაქში მაღაზია გაიხსნა, სადაც ქალბატონებს მამაკაცების დაქირავება შეუძლიათ. სიმპათიური მამაკაცები ამ დაწესებულების ვიტრაჟებს „ამშვენებენ“ და ცდილობენ, ქუჩაში გამვლელი სუსტი სქესის წარმომადგენლები მოხიბლონ. უჩვეულო მაღაზიის „ასორტიმენტი“ საკმაოდ მრავალფეროვანია და გაცნობის ერთ-ერთი საიტიდანაა აღებული. უნდა აღინიშნოს, რომ პარიზელი ქალები ამ მაღაზიის გახსნამ ძალიან გაახალისა. აქ ისინი წყვეტენ, სურთ თუ არა მამაკაცთან ურთიერთობის გაგრძელება, აგრეთვე, მხოლოდ მანდილოსნებს აქვთ უფლება, პირველებმა დაუმესიჯონ სასურველ კანდიდატს. ადმინისტრაციის მიზანია, ქალებმა ყოველდღიური სტრესი მოიხსნან და მამაკაცების „შოპინგით“ გაერთონ.

1. მსოფლიო მიზიდულობა
2. ბადისებურად მოქსოვილი ჩამოსაკიდი საწოლი
3. უხუცესთა საბჭო ძველ საბერძნეთში
4. ერთი სახელმწიფო მეორის ტერიტორიაზე
5. დაკოდილი ცხენი
6. გერბთმცოდნეობა
7. „უსარგებლო ლიტერატურა“
8. მართკუთხა სამკუთხედის გვერდი
9. საკურორტო ქალაქი ყირიმში
10. მარიამობისთვე
11. დიეზის და ბემოლის გასაუქმებელი ნიშანი
12. უღელტეხილი ლიხის ქედის სამხ. მონაკვეთზე
13. დიდი გარეული ფრინველი
14. ამერიკელი მსახიობი ... ბოლდუინი
15. ხმადაბალი და მშვიდი საუბარი
16. იგივეა, რაც თოკი
17. ბინძური თავლების პატრ.
18. ნაბოკოვის ცნობილი რომანი
19. თურქეთის ფულის ერთეული
20. გულმკერდის ერთ-ერთი ძვალი
21. მდინარის ძაბრისებური შესართავი
22. ბავშვების სათამაშო: ჰაერში გასაშვები მოწყობილობა
23. იგივეა, რაც მადა
24. მხატვრობა ნედლ ბათქაშზე
25. ალადინის მშობლიური ქალაქი
26. ქალაქი რუსეთში
27. ჰოლივუდის მსახიობი რასელ ...
28. დიდი ჩინელი ფილოსოფოსი
29. ალ. დიუმას „გრაფი მონტე-...“
30. ზოოლოგიის ნაწილი, სწავლობს ამფიბიებს
31. უმაღლესი მიღწევა სპორტში
32. სრული უწესრიგობა, არეულ-დარეულობა
33. იტალიის საფეხბურთო ნაკრ. ყოფილი თავდამსხმელი
34. ადამიანის საზოგადოებაში ქცევის წესები
35. ნიკანდრო ... „დათა თუთაშხიადან“
36. მიმართვა ფრანგი მეფისადმი
37. ავავასებრთა ოჯახის მცენარე
38. ავსტრალიური ჩანთოსანი ცხოველი
39. ხის ან ბუჩქის გამონაზარდი
40. ბიბლიური მოსეს ძმა
41. ბარსელონას საოპერო თეატრი
42. საარჩევნო ყუთი
43. ჯარიმის ერთ-ერთი სახეობა
44. ორბის, არწივის ხმაური, ყივილი
45. მოკლე ინსტრუმენტული პასაჟი სიმღერაში
46. ყველაზე დიდი თითი
47. არაბული ფლეიტა
48. ნამცხვრის სახეობა
49. გრძელყელიანი გოგრა
50. მტკნარი წყლის დელფინი
51. ბურთის გასვლა სათამაშო მოედნიდან
52. ტბა ჩრდილოეთ ამერიკაში
53. ციური სხეულის სამოძრაო გზა
54. „სავარცხლიანი“ ფრინველი
55. პიპინია ერისთავის ვაჟი
56. ცნობილი შვედური კვარტეტი
57. სოფელი ქედის რაიონში
58. ამერ. კომედიური სერ. უცხოპლანეტელზე
59. რაჭის უდიდესი ქალაქი
60. დიდი ფრანგი მოქანდაკე
61. ადამიანი, რომელსაც სმენა არ აქვს
62. მოცვისებრთა ოჯახის მცენარე
63. პარკოსანთა ოჯახის მცენარე
64. შესანახად მოდუღებული ყურძნის წვენი
65. იგრეკის „კოლეგა“ მათემატიკაში
66. კონ. მოყვანილობის მილი სითხის ბოთლში ჩასასხმელად
67. იაპონური თეატრი
68. ჩიტი ძვ. ქართულში
69. დღეის წინა დღეს ანუ როდის?
70. თოვლის კაცი
71. დეკორატიული ნესვის ჯიში
72. მამალი დაუკოდავი თხა
73. პორტუგ. ყოფილი სამფლ. ჩინეთის ტერიტორიაზე
74. თანხის ნაწ., რომელსაც წინასწარ იხდიან გარიგებისას
75. სოფელი საქართველო-თურქეთის საზღვარზე
76. მაგარი ქანი
77. სალვადორ დალის მეუღლე
78. ყირიმის ისტორიული სახელწოდება
79. მელა „ოქროს გასაღებში“
80. ესპანეთის საპორტო და საკურორტო ქალაქი ...-კორუნია
81. ამერიკელი მოკრივე ... ტაისონი
82. გაზაფხულის ყვავილი
83. ძვირფასბეწვიანი ცხოველი
84. წვრილი ქვიშა
85. თევზის ნახარშიდან მომზადებული წვნიანი








# გამჭრიახი ამერიკელი თოვლს ჰყიდის

ამერიკელმა მამაკაცმა ბიზნესიააწყო თოვლის გაყიდვაზე, რომელიც წელს აშშ-ში საკმაოდ უხვად მოვიდა. დაახლოებით 2,7 კილოგრამი მისი პროდუქტი 89 დოლარი ღირს — დიახ, სწორედ ამდენს ითხოვს მასაჩუსეტსის შტატის მცხოვრები საკუთარ ეზოში არსებულ თოვლში. თქვენ წარმოიდგინეთ, საქონელზე საკმაო მოთხოვნაცაა. ეს მოულოდნელი იდეა კაილ უორინგს მაშინ დაებადა, როცა ეზოში თოვლს წმენდდა. გაყინული ნალექის გაყიდვა თბილი კლიმატის რეგიონებში გადაწყვიტა. ამ მიზნის განსახორციელებლად კი სპეციალური საიტი შექმნა. თავიდან ის პროდუქტს ნახევარლიტრიან ბოთლებში აფასოებდა და 20 დოლარად ყიდდა, მაგრამ მალე მიხვდა, ასეთი სახით თოვლი მყიდველამდე ნაწილობრივ მიაღწევდა ან გადნებოდა. მერე უფრო დიდ შეფუთვაზე გადავიდა და 2,7-კილოგრამიან გაყინულ თოვლში უკვე 89 დოლარს ითხოვდა. ადრესატამდე მისვლისას შეიძლება ის ცოტა გადნეს, მაგრამ 10-15 გუნდისთვის მაინც საკმარისი იქნებაო. ახალგამომცხვარი ბიზნესმენი ჯერ კარგად ვაჭრობს, რადგან შეკვეთები აქვს და არც თოვლი გასთავდება.


ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699



დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.